


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინგ ბეჭდვით სიფყვას, ცეცხლით და ჩაბნობით ბუტის გატანა ყველა უკანონოა და უსამართლოა.

შაბათი, 2 დეკემბერი. 2017 წ. №245 (8382), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

3 მილიონი ლარი საახალწლო კაქლუსობისთვის!

**ვინა
თქვა
საქართველო
ლარიში
ქვეყანააო!!!**

თბილისი ახალი წლის შესახვედრად ემზადება. მთელი ღამის განმავლობაში დედაქალაქის მთავარ, რუსთაველის გამზირზე საახალწლო განათებების მონტაჟი მიმდინარეობდა. ახალი ილუმინაციები თბილისის მერიამ იტალიიდან ჩამოიტანა და ის ბიუჯეტს 3 მილიონი ლარი დაუჯდა.

საახალწლო ილუმინაციების მონტაჟის გამო, თბილისის ცენტრში ღამის საათებში მოძრაობაზე შეზღუდვები დაწესდა.

სალისი სიღუბნის და მთავრობის სიმდიდრის მიუხედავად მიიწვევს მშვიდობიან და ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ თბილისელებო და სრულიად საქართველო!

2017 წელს საქართველოში შიდსის 577 ახალი შემთხვევა გამოვლინდა!

SOS!

2017 წლის 11 თვის მონაცემებით, აივ-შიდსის 577 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, — ეს მონაცემები, შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრმა გაასაჯაროვა.

ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში სულ რეგისტრირებულია აივ/შიდსის 6 711 შემთხვევა, მათგან 5013 მამაკაცი და 1698 ქალია, ინფიცირებულითა უმრავლესობის ასაკი 29-დან 39 წლამდეა.

შიდსის ცენტრის ხელმძღვანელის თანხმობით განცხადებით, განსაკუთრებით საგანგაშოა კაცებს შორის სქესობრივი კავშირის დროს გაერცვლების შემთხვევები და ამ მხრივ, ბოლო 10 წლის განმავლობაში, გაერცვლების მაჩვენებელი 5%-დან 25%-მდე გაიზარდა.

„ზოგადად ნარკომანებს გაასწრო პეტეროსექსუალური გზით გადაცემის შემთხვევებმა. 44% მოდის პეტეროსექსუალური გზით გადაცემის შემთხვევებზე, ხოლო 43% — ნარკომანის, მაგრამ განსაკუთრებით აღინიშნება ძალიან საგანგაშო ზრდა კაცებს შორის სქესობრივი კავშირის დროს გადაცემის. ამ მხრივ, ბოლო 10 წლის განმავლობაში გაერცვლების მაჩვენებელი 5%-დან გაიზარდა 25%-მდე. ყოველ მეოთხე კაცს, რომელსაც აქვს სქესობრივი კავშირი კაცთან, აქვს შიდსი“, — განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

გუშინ შიდსის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „ქორთიარო მარიოტში“ კონფერენცია გაიმართა, სადაც შიდსის ეპიდემიის დასრულების სამოქმედო გეგმას წარადგინეს.

ეიჰ, გეგმა გვიხველის?! კაცები კაცებთან ბოზობენ, ათასობი უპურნაბელი სენით ავადდებიან, კანონი უკლებია, ზნეობა მოშლილი... მართლა გადაშენების გზას ვაღებართ ძმარტველები!!!

სააკაშვილის საქმეზე მომდევნო პროცესი 13 დეკემბერს განახლდება

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ საღამოს დასრულდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვის წარმოთქმა.

მიხეილ სააკაშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებოდა, რაც, როგორც პროკურორმა აღნიშნა, იმ უკანონო შეპირებას მოიცავს, რომელიც სააკაშვილის მიერ გირგვლიანის საქმის არგახსნის, მასში მონაწილე ორგანიზაციების და შემკვეთების არმხილების და მართლმსაჯულების არაღსრულების კუთხით განხორციელდა.

ქის“ პირად გვერდზე.

კვირფასო მიხეილ, თქვენს „დიპლომატ“ ბიძას რატომ არ აუხსანიეთ, რომ უკანონოდ ჩაღობოდათ არ არის დასურული და ბიძა-დინწულის ავანაპურ, მოლაპარაკებებს კარგად ანაწილებს! საცოდავი თქვენი ალბანები, ეგონა დაბნეულობდა და ჭკუას კიდევ ერთხელ (იხნებ, საბოლოო) გასწავლიდა...

მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი ბიძა თემურ ალასანია გუშინ სამი საათი ბორისპოლის აეროპორტში ჰყავდათ დაკავებული და ქვეყანაში არ უშვებდნენ.

„ბიძაჩემი აშშ-ში ცხოვრობს. ის მაღალი რანგის ყოფილი დიპლომატი. წლების განმავლობაში ნიუ-იორკში გაეროს ქვედანაყოფს ხელმძღვანელობდა. ჩემს სანახავად ჩამოვიდა“, — წერს მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქ“

საქართველოში საშუალო ფენა ვერ შეიქმნება!

ჩვენი სიღუბნის მთავარი მიზეზი

„ეროვნული ბანკის“ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა ჯამში 19.6 მილიარდი ლარს შეადგენს. აქედან, როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ კიკორია აცხადებს, 10 მილიარდი ლარი ფიზიკური პირების სესხებზე მოდის. მურთაზ კიკორია აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ არ მოხდეს მოსახლეობის ქარბვლიანობის ზრდა.

ერთობ საინტერესოა, სა-მომხმარებლო და ბიზნეს სესხების გაცემის სტრუქტურაში რამდენად ნორმალურია თანაფარდობა და როგორია საერთაშორისო გამოცდილება? ანალიტიკოსი ნიკოლოზ

ინათ პირობებში, როდესაც საფინანსო სექტორის 95 პროცენტს ბანკებს უჭირავს, ქართული ეკონომიკა ვერ განვითარდება!!!

შინაგადასახლება განმარტავს, რომ ზოგადად, საქართველო მოსახლეობის რაოდენობის და სესხების გაცემის მოცულობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. მისი განცხადებით, დღეს ბიზნეს-სესხებზე გაცემული კრედიტები ძალიან მცირეა. შედეგად, კომერციული ბანკების მოცულობის უდიდესი ნაწილი სხვა შემოსავლებზე მოდის.

„საუბარია, ოპერაციებზე კრედიტებიდან, გარანტიებიდან. უდიდესი წილი კი ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან შემოსულ შემოსავლებზე მოდის. ყველაზე მცირე წილი ბიზნესზე გაცემული სესხებია“ — აცხადებს შენგელია.

მისი განცხადებით, კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არაპროფილურ საქმიანობას ეწევიან და აფილირებული კომპანიები გააჩნიათ. შედეგად, მცირე ბიზნესის განვითარებას ხელს არ უწყობენ.

„მსხვილ ტენდერებში მონაწილე კომპანია ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსების ქვეშ არიან. მცირე და საშუალო ბიზნესს არავითარი საშუალება არ ეძლევა, მიიღოს ტენდერებში მონაწილეობა, დადოს საგარანტიო წერილები და მიიღოს საავანსო ჩარიცხვები. ხალხს კი იმდენი კაპიტალი არ აქვს, რომ ბანკებში ჩადოს და ტენდერული სამუშაოები აწარმოოს. ბანკები ამას ხელს არ უწყობენ. დაინტერესდნენ, შევიდნენ დიდ კომპანიებში და ნახონ, ვინ დგას მათ უკან და რა ფინანსები“ — აცხადებს შენგელია.

სხვა პირობებში, როდესაც საფინანსო სექტორის 95 პროცენტი ბანკებს უჭირავს, ქართული ეკონომიკა ვერ განვითარდება!!!

კითხვაზე, როგორია ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილება და რა თანაფარდობა არსებობს ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებსა და ბიზნეს სესხებს შორის, შენგელია განმარტავს, რომ ევროპის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ბანკების მოცულობის უდიდესი ნაწილი ბიზნეს სესხებზე და საბოლოო კომპანიების მხრიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

„ჩვენთან კომერციული ბანკები სამომხმარებლო სესხებს უპრობლემოდ გასცემენ, ბიზნესის საკრედიტო კი სესხებს არ იძლევიან. ამიტომ, საქართველო ვერასდროს ვერ განვითარდება. ჩვენთან ვერ შეიქმნება საშუალო ფენა, რომელიც ყველა ქვეყნის განვითარების ხერხემალია“, — აცხადებს ნიკა შენგელია.

სოფო ძმარტველი



თბილისის მერმა და უს მინისტრმა დელაქაქაში სასტუმროს მონაწილეობაზე იმსჯელეს

დელაქაქაში მერი კახა კალაძე შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას შეხვდა. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ძირითადი განსახილველი საკითხები საცობების, სადისტრიბუციო მანქანების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისა და ქვეითა გადაადგილების, ასევე, მინისქვეშა გადასასვლელებში არსებული მდგომარეობის მონაწილეობა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა იყო.

მხარეებმა ქალაქში მოძრაობის განტიკრების მიმართულებით დაგეგმილ კონკრეტულ ღონისძიებებზე იმსჯელეს. დაიგეგმა ასევე, კორდინაციის ის ძირითადი მექანიზმი, რომელმაც არსებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად ეფექტურად უნდა იმუშაოს.

გორის მერს სამი მარკუიდეირი აკლია!!!

გორის მერს კონსტანტინე თავაზარაშვილს, საში მოაღვიძე, სამი თანაშემწე, სამი მარკუიდეირი, სამი კონსულტანტი და ორი მკვლელი იმყოფება. საშუალო ნუსხა გორის საკრებულომ დაამტკიცა. ეს თემა სოციალურ ქსელში ფეისბუქში საზოგადოების განხილვის საგანი გახდა. მერს გაბერილი შტატების გამო აკრიტიკებდნენ. იყო იუმორნარული კომენტარებიც: ერთი სამი მარკუიდეირი საჭიროა მერიაშიო. კომენტატორების ნაწილი კი ცდილობდა, გაერკვია, რა განსხვავებაა კონსულტანტებსა და მრჩეველებს შორის. განსხვავება ხელფასშია.

მოხელეების ნაწილი სამსახურს კარგავს, ზოგისთვის კი ახალი სამსახური იქმნება



თვით მრჩეველებს შორისაც კი ერთგვარი დიფერენცირება მოხდა: მაგალითად, პირველი მრჩეველი 1 400 ლარს, მეორე 1 200-ს, მესამე კი 1 100 ლარს მიიღებს. კონსულტანტების ხელფასი კი 900-900 ლარით განისაზღვრება. განსხვავებულია მკვლავის ანაზღაურებაც: პირველი მკვლავი 1000 ლარს მიიღებს, მეორე კი 850-ს. ოპოზიციის წარმომადგენლები მერს ამ გადაწყვეტილებას გამოეხატა აკრიტიკებენ, მმართველ პარტიაში კი აცხადებენ, რომ ყველაფერი კანონის შესაბამისად ხდება.

თავმჯდომარე ბექა ქორჩილაკა აცხადებს, რომ ბუნდოვან განკარგულებას მხარს ვერ დაუჭირდნენ. „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა თამარ კოდოშვილმა, პროტესტის ნიშნად საკრებულოს სხდომა დატოვა. იგი ამბობს, რომ კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო და სხდომაზე ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. გორის მერის პირველი მოადგილე გელა კაპანაძე აცხადებს, რომ გათვლები და სტატისტიკა ცოტა მოგვიანებით გახდება ცნობილი – მას შემდეგ, რაც რეორგანიზაციის შედეგად ახალი აიპები ჩამოყალიბდება. გორის თემისა და ქალაქის მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად გაერთიანებულ მუნიციპალიტეტში მსგავსი აიპების შერწყმისა და რეორგანიზაციის საკითხი დადგა. საკრებულომ პროექტი ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა. საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე აცხადებს, რომ პროცესი მტკივნეული იქნება, მაგრამ ქალაქის განვითარებისთვის ასეა საჭირო. მისი თქმით, გათავისუფლებული თანამშრომლები სახელმწიფოსგან კომპენსაციას მიიღებენ. მერიაში უკვე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აიპების რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმუშავებს. უკვე ცნობილია, რომ სამსახურს ათეულობით ადამიანი დაკარგავს, ადგილობრივი ხელისუფლება კი ზოგან კადრების მასშტაბურ შემცირებაზე მიდის, ზოგან კი ადამიანების დასაქმებულად ახალ შტატებს იგონებს. მერის მიერ მრჩეველების, თანაშემწეების, კონსულტანტებისა და მკვლავების დანიშვნის საკითხი ისევ საზოგადოებრივი განსჯის საგნად რჩება და, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება. გოგა აფციაური, გორი

ტერაქტის ქმ

FBI-ს ქსეპრტები საქართველოში ჩამოვიდნენ და ეხმარებიან ქართველ სამართალდამცველებს.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის იან კელის განცხადებით, FBI-ს ექსპერტები საქართველოში ჩამოვიდნენ და ეხმარებიან ქართველ სამართალდამცველებს. ელჩის ინფორმაციით, ისინი ქართველ სამართალდამცველებს შეხვდნენ და ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში დაეხმარებიან.

ჩატაქის ლიკვიდაცია სუსმა და FBI-მ დაადასტურა!

სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული ერთ-ერთი პირი ჩატაქია – ამის შესახებ სუსის სპეციალურ ბრიგადებში განაცხადეს. სუსის ინფორმაციით, ჩატაქემა თავი აიფეთქა. სუს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამერიკელ კოლეგებთან ერთად ჩატარებული გამოძიების ფარგლებში დადგენილია მხოლოდ ჩატაქეის ვინაობა. დანარჩენ პირებს კი მაიდენტიფიცირებული დოკუმენტაცია არ ჰქონიათ.



„ამერიკელი ექსპერტების დახმარებით, დემ-ის, ასევე თითის ანაბეჭდებით და დაქტილოსკოპიური კვლევით, დადგენილ იქნა, რომ ლიკვიდირებული პირებიდან ერთ-ერთი ახმედ ჩატაქია. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს თან მათი ვინაობის მაიდენტიფიცირებული არანაირი დოკუმენტი არ ჰქონიათ. აღნიშნული პირების იდენტიფიკაციის პროცესში ჩართულნი არიან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები. გამოძიების ფარგლებში დგინდება თუ როგორ მოხვდნენ აღნიშნული პირები საქართველოში და ასევე დგინდება მათი შესაძლო კავშირი სხვა კრიმინალებთან“, – განაცხადეს სუს-ში.

არაპინ გაქცეულა, ლიკვიდირებულთა შორის გუმაშვილი არ არის!

სუს-ის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნინო გორგობიანის განცხადებით, 22 ნოემბრის სპეცოპერაციის შემდეგ შეიარაღებული დაჯგუფების არც ერთი წევრი შემთხვევის ადგილიდან არ გაქცეულა. გორგობიანის განცხადებით, გავრცელებულ ფოტოებზე ერთ-ერთი ის პირია, რომლის ლიკვიდირებაც მოხდა. მისივე თქმით, ლიკვიდირებულთა შორის ადამ გუმაშვილიც არ არის. რაც შეეხება იარაღის წარმომავლობას, ამასთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

საუსოპერაციისას ჩატაქის ოჯახი საქართველოში არ იმყოფებოდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით ჩატაქეის ცოლ-შვილმა საქართველო რამდენიმე წლის წინ დატოვეს. ნინო გორგობიანის თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ქალი და ბავშვი იმყოფებოდნენ, სიმართლეს არ შეესაბამება.

ბანაღურაპული პინების მუხატრონებს მერი 500 ლარს გააღასტავს

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, ისინი რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მცხოვრებ რვა ოჯახს, რომელთაც 22 ნოემბრის ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად საცხოვრებელი სახლები სრულად გაუნადგურდათ, თითოეულ მოქალაქეზე ერთჯერადი დახმარების სახით, 500 ლარი გადაეცემა. დახმარებას გაბრიელ სალოსის გამზირის მე-6 შენაკვეთის, №9 კორპუსის, მესამე სადარბაზოს I-III სართულზე და მეორე სადარბაზოს მეორე სართულზე მცხოვრები 35 მოქალაქე მიიღებს. მათ დასახმარებლად, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ჯამში 17 500 ლარი გამოიყო.

რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ უკრაინული ეკლესიის დამოუკიდებლობა აღიარა

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიერეულ კრებაზე მიიღეს „კრების მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს თხოვნას, მოსკოვის საპატრიარქოს წესდებაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიას ცალკე თავი გამოეყოფოს. ამდენად, მოსკოვის საპატრიარქოს წესდებაში ჩაინერგება, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის ცენტრი კიევი მდებარეობს. ამასთან, საერთო საეკლესიო სასამართლო ამიერიდან მოსკოვის

საპატრიარქოს მთელს ტერიტორიაზე გავრცელდება უკრაინის გამოკლებით“, – განმარტეს კრების პრეს-სამსახურში და იქვე დასძინეს, რომ „ეს შესწორებები მხოლოდ ოფიციალურად ამყარებს იმას, რაც პრაქტიკაში უკვე ხდებოდა“. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე წარმოადგენდა მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში მყოფ თვითმმართველ ეკლესიას ფართო ავტონომიის უფლებებით. ამასთან, უკრაინაში მოქმედებს კიევის საპატრიარქო და უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომლებსაც არ სცნობენ კანონიკურად.

კვა გოცირიძემ არა მარტო საქართველოში, სტრასბურგშიც შესანიშნავი შეფასება მიიღო!



პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ევა გოცირიძე უნდა დაამტკიცოს. სტრასბურგის მიერ დანუნებული იურისტის გამწვანებას ეწინააღმდეგებიან ოპოზიციური ფრაქციები. ოპოზიციის კრიტიკას უსაფუძვლოს უწოდებენ მმართველ გუნდში. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ამბობს, რომ ევა გოცირიძე კომპეტენტური და კვალიფიციური კადრია.

„საკონსტიტუციო სასამართლოს დაქვემდებარებაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ან ახალი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ლაპარაკობს, ეს საერთოდ ზნეობის ყველა საზღვარს სცილდება. რაც შეეხება ევა გოცირიძეს, ეს არის ადამიანი, რომელიც მაღალი დონის ექსპერტია, სასამართლო სისტემას იცნობს შესანიშნავად და უამრავი სამართლებრივი მიმართულების სპეციალისტი მას კარგად იცნობს მსოფლიოში, არა მარტო საქართველოში. სტრასბურგშიც შესანიშნავი შეფასება მიიღო, თუმცა სამწუხაროდ იქ სია იმ ახალი კრიტერიუმების საფუძველზე ვერ დამტკიცდა,“ – აცხადებს გია ვოლსკი.

სოტა სხვანაირი უნდა იყოს მიღგომა მძიმე ნარკოტიკებთან...

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მარიხუანის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით, შს მინისტრი ეხმაურება. გიორგი გახარია ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, მძიმე ნარკოტიკებთან დაკავშირებით მიღგომა „სოტა სხვანაირი უნდა იყოს“. „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გუშინ გამოცხადებულმა გადაწყვეტილებამ, ფაქტობრივად, სტატუს-კვო შეცვალა. ეს უკვე ახალი რეალობაა, რომელიც უნდა ვიმოქმედოთ. ეს არის ახალი სტატუს-კვო. იმ ნაწილში, რაც შეეხება მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებებს, გადაწყვეტილება საკონსტიტუციოს მიერ არის მიღებული და ჩვენ ეს გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ჩვენი საკანონმდებლო სისტემა რეპრესიული არ უნდა იყოს და ვერ იქნება. თუმცა მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ცოტა სხვანაირი უნდა იყოს მიღგომა მძიმე ნარკოტიკებთან მიმართებაში, დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოების მოთხოვნაც და მოლოდინიც არის შესაბამისი. მძიმე ნარკოტიკი არის გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის და შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს ამ გამოწვევას,“ – განაცხადა მინისტრმა.

ფონიჭალა ნარკოტიკებისა და აბაჯანის დაპატიმრება!

შს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ა.ა. ნარკოდანაშაულისთვის ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ დაკავებული მიერ გაყიდული, 2 შეკვრად დაფასოებული პერონი ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს.

თვალისრივივით გასაფრთხილებელი

ბერი ბაბრიძე სალომის ქუჩაზე განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციის შემდეგ საზოგადოებაში, მათ შორის, მასმედიაში დაწყებული ფართო გამხმარების ფონზე ინტერესბოკლებული არ იქნება, მკითხველს შევასხვონთ საქართველო-ჩეჩენეთის სასიკეთო ურთიერთობის ერთი ეპიზოდის ამსახველი ნარკვევი, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ამ 25 წლის წინათ.

რედაქცია

1. როგორ გაქრა „ჩაჩანი“

70-იანი წლების მიწურული იქნებოდა, როცა ლევან თოლორაძემ, ჩემმა მოძღვარმა და მეგობარმა, რომელიც იმხანად გაზეთ „კომუნისტის“ სტილისტად მუშაობდა, სამსახურში დამირეკა, მოდი, რაღაც წერილი უნდა გიჩვენო. იმ დროს მეც სტილისტად ვმუშაობდი საქართველოს საინფორმაციო სააგენტოში – საქინფორმში, და ბევრ ტერმინს „პარტიზანული“ წესით ვამკვიდრებდით (უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად „კომუნისტი“ მართლწერის კანონმდებლად ითვლებოდა). მეცნიერები წლობით განაგრძობდნენ არცთუ არსებით კამათს ამა თუ იმ ტერმინის დანერგვის გა-მო, ჩვენ კი ყოველდღე გვიხდებოდა ამ ტერმინების ხმარება. მაშინ საქინფორმშიც და „კომუნისტშიც“, აგრეთვე იმელში, სადაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები ითარგმნებოდა (შეიძლება, ერისაგან, მაგრამ არა ენი-საგან დავინწყებულ), შამშე ასათიანის ნამონაწერები ვმუშაობდით, და როგორც სპეციალისტებს, ანგარიშს გვიწვევდნენ, მით უმეტეს, იმას, რაც „კომუნისტში“ იბეჭდებოდა, კანონის ძალა ჰქონდა. მოგიყვანთ ასეთ მაგალითს. უსაშველოდ გაგრძელდა კამათი, თუ რომელი ფორმა იყო სწორი – „ეკონომიური“ თუ „ეკონომიკური“ (ასევე იყო

„აღწარმოება“ და „კვლავწარმოება“ და ა.შ.) ბოლოს და ბოლოს, სააგენტო და გაზეთის რედაქცია შეეთანხმდით, როცა იგულისხმება „ეკონომია“, „დაზოგვა“, გვეწერა „ეკონომიური“, ხოლო როცა „ეკონომიკა“, – „ეკონომიკური“. დაიბეჭდა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მეორე კი ითქვა, პრესა ასე წერს, და ჩვენც ასე უნდა ვწეროთ. ეს – ისე, სხვათა შორის. ახლა, რაც შეეხება ლევან თოლორაძეს, ჩაჩანი, მიჩვენებს რუსეთის სფსრ ჩაჩნეთ-ინგუშეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბლანკზე ქართულად დაბეჭდილ მომართვას, რომელსაც ხელს აწერს ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მოკლედ გაიამბობთ წერილის არსს, რადგან სიტყვისიტყვით მისი შინაარსი არ მასხოვს. ჩვენში ოდითგან დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ ქართველ ძმებს, ქართულ ენას, გვეწერდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ერთ-ერთი თავკაცი, და ჩეჩნეთში თითქმის ყოველმა კაცმა იცის ქართული. უკლებლივ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში იხმარება „ჩეჩენი“ და „ჩეჩნეთი“, საქართველოს გარდა. ჩვენ კი ვიცით, რომ „ჩაჩანი“ თქვენში სალანძღავ სიტყვად ითვლება და, ამავე დროს, ჩეჩენსაც ნიშნავს.

თუკი ეს არ იქნება დაკავშირებული დიდ სირთულეებთან, მოგმართავთ თხოვნით – თქვენც სხვებსავით გესმა-

© აკითხვალს თხოვნით

რა მოხდება, თუკი ქუჩაში მარისუანას მოვნივით?!

საპარტეზლოში მარისუანის დეკრიმინალიზაცია დაკანონდა. ახალმა გადაწყვეტილებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი აღაფრთოვანა, თუმცა გაჩნდა კითხვებიც – რისი უფლება ეძლევა კანონის მომხმარებელს და რა შემთხვევაში შენარჩუნდა ამ ქმედების მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. „მეტრონომს“ იურისტი გურამ იმნაძე პასუხობს.

– თუ ქუჩაში მივდივარ და მარისუანას ვწევი, რა სამართლებრივი პასუხისმგებლობა მეკისრება?

– საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, მარისუანის პირადი მოხმარება ალარ განიხილება სისხლის სამართლის საქმედ, ანუ პირადი მოხმარება გამოირიცხავს დაპატიმრებას, თუმცა, რჩება ადმინისტრაციული სასჯელი, რაც გულისხმობს პირველ ჯერზე 500-ლარიან ჯარიმას, განმეორებით შემთხვევაში კი 1000-ლარიან ჯარიმას.

– თუ მარისუანა პირადი მოხმარებისთვის სახლში ან ჩანთაში (ჯიბებში) მაქვს, ამ შემთხვევაში რა ხდება?

– საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, არ შეცვლილა შენახვა-შეძენასთან დაკავშირებული მუხლი, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ პირი იხახავს, ან შეიძენს მარისუანას, ამ შემთხვევაში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება. ეს მუხლი არ ეხება 5 გრამამდე მარისუანას ერთჯერადად შენახვას, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი, ანუ ჯარიმა იგულისხმება. თუმცა განმეორებით, თუნდაც 5 გრამამდე ამ ნივთიერების შე-



ნახვა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მიზეზია.

– მაშინ, რა სიახლეა კანონპროექტში, რას ნიშნავს მარისუანის დეკრიმინალიზაცია?

– საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ ახალ გადაწყვეტილებამდე, პირი მარისუანის პირადი მოხმარების შემთხვევაშიც კი სისხლის სამართლის დევნის ობიექტი ხდებოდა. ახალი პროექტით, რომელიც ადმინისტრაციულ სასჯელს, ანუ ჯარიმებს ითვალისწინებს, პირი პირადი მოხმარებისთვის ალარ დაპატიმრდება, თუმცა, ეს კანონი, რომელიც ადმინისტრაციულ სასჯელს, ანუ ჯარიმებს გულისხმობს, ხელს უწყობს იმასაც, რომ მსუბუქი ნარკოტიკების გავრცელება არ მოხდეს.

რათ „ჩეჩენი“, „ჩეჩნეთი“, და არა „ჩაჩანი“, „ჩაჩნეთი“, რისთვისაც უღარესად მაღლობელი დაგრჩებოდით.

ვისაც შემორჩენილი გაქვთ ძველი (1978-წლამდე) კონსტიტუცია, ან რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული, ჩახედეთ და ნახავთ: წერია ჩაჩნეთ-ინგუშეთი. შევიკრიბეთ საქინფორმელ-კომუნისტელები და ვთქვით: რახან ჩაჩნეთი ასეთ პატივს გვცემენ და ასეთ ყურადღებას აქცევენ თავიანთი ეროვნებისა და ქვეყნის ქართულ დანერგობას, ჩვენც „ჩეჩენზე“ და „ჩეჩნეთზე“ გადავიდეთ, მით უმეტეს, ალექსანდრე ყაზბეგიც „ჩეჩენს“ ხმარობსო. ასე გადაიტყა „ჩაჩანი“ „ჩეჩნად“.

სულ სხვა საქმეა **аварцы**, რომლებსაც ავარებად კი არა, ხუნძებად ვისხვნივთ.

2. გადარჩეული სხელები

ამჟამად გამახსენდა ჩვენი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც დროდადრო ბეჭდავდა ცნობარს „საქართველოს სსრ


ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, სადაც შეტანილი იყო საქართველოს დასახლებული პუნქტები, აგრეთვე გადარჩეული ადგილების ძველი და ახალი სახელწოდებები.

იმ ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისა თუ, ზოგადად, იმ ადამიანებისათვის, ვინც აფხაზეთის ბოლოდროინდელი მოვლენების ფესვებსა და პირველმიზეზებს ეძებს, ან, უბრალოდ, აინტერესებს, რამ განაპირობა, ათას სხვა უბედურებასთან ერთად, ე.წ. ბაგრატიანის ბატალიონების შექმნა, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ამ ცნობარიდან, და შევახსენებთ, რომ გადარქმეული დასახლებული პუნქტების სახელწოდებები დამტკიცებულია ჩვენი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით.

თქვენ კი ამბობთ...

არჩილ მანჯგალაძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

სახელგადაარჩეული დასახლებული პუნქტები			
ახალი სახელწოდება	წინანდელი სახელწოდება	რაიონი	გადაარჩევის თარიღი
სოფ. ალპისკოე	ს. ალპური	გაგრა	16. 4. 1955
ს. არმიანსკოე უშჩელიე	ს. ბუხსხევი	გუდაუთა	16. 4. 1955
ს. ანუხვა არმიანსკოე	ს.მეორე ანუხვა	გუდაუთა	16. 4. 1955
ს. ათარა არმიანსკოე	მეორე ათარა	ოჩამჩირე	16. 4. 1955
ს. გრუზინსკოე უშჩელიე	საქართველოს ხეობა	გაგრა	16. 4. 1955
ს. დემერჩენც	ს. ფსოუსხევი	გაგრა	16. 4. 1955
ს. ვესიოლოვკა	ს. სალხინო	გუდაუთა	16. 4. 1955



პალიკო კინტრაია: ქალბატონო, თქვენ ბელოდებთ ჯალათი, რომ ბაბათაპისუფლოთ ორსულობისგან!

ჯანდაცვის მინისტრი სელექციური (შერჩევითი) აბორტების შესახებ საუბრობს, რომლის მიხედვითაც, არასასურველი სქესის მქონე ნაყოფის მოცილება ხდება. ძირითადად იშორებენ შეზღუდული უნარების მქონე ბავშვებს, ასევე, გოგონებს და ეს იმ ქვეყნებში ხდება, სადაც ოჯახში უბირატესობა ვაჟის ყოლას ენიჭება.

დავით სერგეენკოს თქმით, ბავშვის სქესის არგამხელასთან დაკავშირებით რეკომენდაცია ჯერ კიდევ წლების წინათ არის გაცემული, თუმცა ამას ერთეულები თუ იცავენ. სქესის წინასწარ გამხელა კი, სამწუხაროდ, ზოგჯერ გავლენას ახდენს მშობლების გადაწყვეტილებაზე, რაც, უბრალოდ, მიუღებელია.

სელექციური აბორტების შესახებ გვესაუბრება ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი პალიკო კინტრაია.

– დავით სერგეენკოს თქმით, სქესის არგამხელის ეტიკეტი ყველა ორსულთან დაცული უნდა იყოს. რამდენად მოქმედებს მშობიარეობაზე ის ფაქტი, რომ მათთვის არასასურველი სქესის შვილის გაჩენა მოუწევთ და რატომ არის ეს შერჩევა ძირითადად გოგონების გაჩენის სანაღმდეგოდ მიმართული?

სელექციური აბორტების შესახებ გვესაუბრება ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი პალიკო კინტრაია.

– დავით სერგეენკოს თქმით, სქესის არგამხელის ეტიკეტი ყველა ორსულთან დაცული უნდა იყოს. რამდენად მოქმედებს მშობიარეობაზე ის ფაქტი, რომ მათთვის არასასურველი სქესის შვილის გაჩენა მოუწევთ და რატომ არის ეს შერჩევა ძირითადად გოგონების გაჩენის სანაღმდეგოდ მიმართული?

– 50 წელია, მეან-გინეკოლოგი გახლავართ. დავებრდი კაცი და ვინ იცის, ჩემთან რამდენი პაციენტი მოსულა, სამი გოგონა რომ ჰყოლია, მეოთხე გოგონაზე ყოფილა ორსულად და უფიქრია, გაეჩინა თუ არა მეოთხე შვილი, მაგრამ, თუ ამ ადამიანს აუხსნი, რას ნიშნავს აბორტი, არ არსებობს ქალი, რომელიც დაიჩემებს, გინდა თუ არა, აბორტი უნდა გაეკეთო. ამაზე დამშვიდებულად საუბარი არ შემიძლია, რადგან აბორტი მკვლელობაა. ეს ნიშნავს, რომ ცოცხალი ადამიანი უნდა მოკლა. ამას დედას რომ აუხსნი, გააგებინებ და ის დედა მაინც იტყვის, მე მაინც უნდა მოვკლა ჩემი შვილიო, ის ადამიანი აღარ არის.

– დავით სერგეენკოს თქმით, სქესის არგამხელის ეტიკეტი ყველა ორსულთან დაცული უნდა იყოს. რამდენად მოქმედებს მშობიარეობაზე ის ფაქტი, რომ მათთვის არასასურველი სქესის შვილის გაჩენა მოუწევთ და რატომ არის ეს შერჩევა ძირითადად გოგონების გაჩენის სანაღმდეგოდ მიმართული?

– დავით სერგეენკოს თქმით, სქესის არგამხელის ეტიკეტი ყველა ორსულთან დაცული უნდა იყოს. რამდენად მოქმედებს მშობიარეობაზე ის ფაქტი, რომ მათთვის არასასურველი სქესის შვილის გაჩენა მოუწევთ და რატომ არის ეს შერჩევა ძირითადად გოგონების გაჩენის სანაღმდეგოდ მიმართული?

სხვათა შორის, მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში საერთოდ აკრძალულია აბორტის გაკეთება. შემდეგ ამას მოჰყვას სხვადასხვა ინსტანციებიდან გადაწყვეტილებები, რომ ეს კანონით დაშვებულია და თქვენ უფლება არ გაქვთ, აკრძალეთ აბორტის გაკეთებაო. კი ბატონო, ამის შემდეგ დავუშვი აბორტი, მაგრამ ამ ინსტანციებს გავაგებინებ, რომ აბორტი ეს არის ჩვე-

– დავით სერგეენკოს თქმით, სქესის არგამხელის ეტიკეტი ყველა ორსულთან დაცული უნდა იყოს. რამდენად მოქმედებს მშობიარეობაზე ის ფაქტი, რომ მათთვის არასასურველი სქესის შვილის გაჩენა მოუწევთ და რატომ არის ეს შერჩევა ძირითადად გოგონების გაჩენის სანაღმდეგოდ მიმართული?

– დავით სერგეენკოს თქმით, სქესის არგამხელის ეტიკეტი ყველა ორსულთან დაცული უნდა იყოს. რამდენად მოქმედებს მშობიარეობაზე ის ფაქტი, რომ მათთვის არასასურველი სქესის შვილის გაჩენა მოუწევთ და რატომ არის ეს შერჩევა ძირითადად გოგონების გაჩენის სანაღმდეგოდ მიმართული?

მშობიარეობაზე და მშობიარობის შედეგად ზაზა სინაურიძე: დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კალიან მაღალია!

„მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან ორსულმა უნდა იცოდეს, რა არის საყურადღებო ნიშნები მომავალი გართულების თავიდან ასაცილებლად“, – აცხადებს სამშობიარო სახლის PINEO Luxury-ის დირექტორი ზაზა სინაურიძე იმ კვლევის შედეგების კომენტარებისას, რომლის მიხედვითაც საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

რომ ყოველ ასეთ ფაქტზე რეაგირება ყოფილიყო მწვავე, რათა თუ იქ ექიმის დანაშაული გამოიკვეთებოდა, მას შესაბამისი პასუხი ეგო.

მონოდეზიანი ინფორმაციით, საქართველოში 2015 წლის განმავლობაში აღრიცხული იყო ორსულობასთან დაკავშირებული გარდაცვალების 19 შემთხვევა. ხოლო 2016 წლის განმავლობაში 13 შემთხვევა.

დაიხ, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებისა და კეთილდღეობის ეროვნული შეფასების შედეგებზე დასკვნის მიხედვით, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. კვლევის მიხედვით, ამის მიზეზი არის ანტენატალური და პერინატალური ზრუნვის დაბალი ხარისხი, ტრანსპორტირების სუსტი სისტემა, მარეგულირებელი და მონიტორინგის გაუმართავი სისტემა, სამშობიარო სახლებისა და ქალთა საკონსულტაციო ცენტრების პერსონალის ტრენინგების ნაკლებობა.

ბოლო 2 წელიწადში საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ფაქტების მოკლე ქრონიკა ასეთია: 2016 წლის 16 ივნისს წნორში 28 წლის ქალი მშობიარობის შემდგომი გართულებით გარდაიცვალა. მედიკოსების მხრიდან, ფატალური შემთხვევის შედეგად სისხლდენა სახელდება.

სამშობიარო სახლის PINEO Luxury-ის დირექტორი ზაზა სინაურიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კვლევაში ჩამოთვლილი პრობლემების უმეტესობა, რის გამოც საქართველოში დედათა სიკვდილიანობის საგანგაშო მაჩვენებელი ფიქსირდება, ნამდვილად დგას.

რაც შეეხება საკეისრო კვეთების გაზრდილ რაოდენობას, კვლევაში აღნიშნულია, რომ, ერთი მხრივ, ქალები ამ მეთოდს მიმართავენ მშობიარობასთან დაკავშირებული ტვივილის ასარიადებლად, მეორე მხრივ, ბუნებრივი მშობიარობის დადებითი მხარეებისა და საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული გართულებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო. „გარდა ამისა, ქალების მიერ საკეისრო კვეთის ასარჩევად გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ასევე განპირობებული იყოს ექიმების პირადი ინტერესით, გამოიმუშაონ მეტი ფული და დაზოგონ დრო“, – აღნიშნულია კვლევაში.

2016 წლის 28 ოქტომბერს ქუთაისში საკეისრო კვეთის შედეგად 23 წლის ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. ოჯახის წევრების მტკიცებით, პაციენტი ქირურგის მიერ დაშვებულ შეცდომას ემსხვერპლა. მედიკოსების მტკიცებით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ხუთი წლის წინათ არასწორად ჩატარებული საკეისრო კვეთა გახდა.

„ანტენატალური და პერინატალური ზრუნვის დაბალი ხარისხი კვლავ დღის წესრიგში დგას, შესაბამისად, ანტენატალურ მეთვალყურეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბათოლოგია დროულად იქნეს აღმოჩენილი და გადაწვდილებული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან ორსულმა უნდა იცოდეს, რა არის საყურადღებო ნიშნები მომავალი გართულების თავიდან ასაცილებლად. მან დროულად უნდა მიაკითხოს კვალიფიციურ ექიმს. პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ ამისკენ არის მიმართული, რომ დედათა სიკვდილიანობა შემცირდეს. რა თქმა უნდა, ამ მხრივ მეტია გასაკეთებელი. პირველ რიგში, აუცილებელია მომსახურების ხარისხის ამაღლება. ტრენინგები საჭირო, მერსონალის მოზადება და გუნდური მიდგომა. რაც შეეხება ტრანსპორტირების ხარისხს, მე პირადად სისტემის აწყობაში ჩართული ვიყავი. ტექნიკურად ამის პრობლემა არ დგას“, – აღნიშნავს სინაურიძე.

საქართველოში დედათა სიკვდილიანობის ზრდაზე და ექიმთა ნაწილის არაპროფესიონალიზმზე „კომერსანტი“ არაერთხელ წერდა. მეტიც, ჩვენ მოვუწოდებდით ჯანდაცვის სამინისტროს,

2017 წლის 1 მაისს 29 წლის ქალი გაგუას კლინიკაში მშობიარობის შემდგომ გარდაიცვალა. ექიმების განმარტებით, მიზეზი სისხლდენა გახდა.

რაც შეეხება სელექციური კონტრაქტირების პროგრამას, რომელიც თავდაპირველად სამშობიარო სახლებს შეეხო, სინაურიძის თქმით, ამაზე დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი უნდა შეამციროს. მისივე თქმით, საკეისრო კვეთების მაჩვენებელი კვლავ მაღალია: „მთელ მსოფლიოში საკეის-


მაგალითად, საფრანგეთში აბორტის გაკეთებისთვის სიკვდილით სჯიდნენ. სწორედ ამას მოჰყვა შედეგად ჰომოსექსუალობა და ათასი უბედურება, რომ ემინოდან აბორტის გაკეთების. მაშინ არ იყო ჩასახვის სანაღმდეგო საშუალებები. ფრანგებმა როცა დაინახეს, რომ არ იზრდებოდა შობადობა საფრანგეთში, როდესაც ერი მიხვდა, თუ ფრანგები არ გამოავლდებოდნენ, მათ ტერიტორიებს სხვა ეროვნების ხალხი დაიკავედა, სწორედ მაშინ დაიწყო საფრანგეთში გამრავლების პროცესის წახალისება და დღემდე ეს ეროვნული პროცესი სათანადოდ მალალ დონეზეა.

საქართველოშიც ეს უნდა იყოს ერის და ბერის გადარჩევითი, რომ უნდა გამოავლდნენ. მთავრობა იქნება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ მიდგომას. სწორი მიდგომა კი აქვს იმას, ვისაც ნამდვილი გული აქვს და რალაციის გამოჩენის გამო არ ეწევა საკუთარი მოსაზრებების აგიტაციას.

– სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტები განსაკუთრებით გავრცელებულია ჩინეთში, ინდოეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, საქართველოს ჩათვლით. ამიტომაც განიხილა ფრაზა „სამხრეთ კავკასიის გამჭრალი გოგონები“. დასავლეთში სელექციური აბორტები თუ კეთდება?

– დასავლეთში არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ბავშვის სქესს. ამ თვალსაზრისით, გოგო ყოვლად თუ ბიჭი, პრობლემა არა აქვთ. ეს ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი დამახინჯებული მიდგომაა და, სამწუხაროდ, ამ დამახინჯებული მიდგომით ბევრი ადამიანი ხელს ითბობს. ტელევიზიით გამოდიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არავითარი პატივისცემა არა აქვთ საზოგადოებაში. ხალხმა იცის მათი წარსული, ისიც იცის, რას წარმოადგენენ ეს პიროვნებები, რომლებიც დიდი პათოსით გვმოდგრავენ. ვინ უსმენს ამ ადამიანებს და ვინ თვლის რამედ? უბრალოდ, სმაურობენ და მეტი არაფერი. ასე რომ, სელექციური აბორტზე უნდა შეწყდეს ლაპარაკი, ხალხს უნდა შეუფქმნათ პირობები, რომ შვილის გაჩენის არ ემინოდნენ. არ ემინოდნენ იმის, რომ ვერ არჩენენ, ვერ გაზრდიან. მაშინ საკითხი, ერი გამრავლება თუ არა, სრულიად სხვა მიმართულებას მიიღებს. დღეს, როცა ცოლი უმუშევარია და ქმარიც, რა ნამუსით უნდა ვურჩიოთ მათ შვილის გაჩენა?

ესაუბრა მანანა ნოზაძე



რო კვეთის ნორმალურ პროცენტად 15-ია მიჩნეული. ჩვენთან არის 30%. თუმცა მსოფლიოში ბოლო წლებში საკეისრო კვეთების მაჩვენებელი ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად, გერმანიაშიც მოიმატა. როცა საკეისრო კეთდება, მისი არამიზანშენილობა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დაბალია. შესაბამისად, ამას ცნობიერების აწევა და კვალიფიციის ამაღლება სჭირდება“.


რაც შეეხება დედათა სიკვდილიანობის გაზრდილ რაოდენობას, კვლევაში აღნიშნულია, რომ, ერთი მხრივ, ქალები ამ მეთოდს მიმართავენ მშობიარობასთან დაკავშირებული ტვივილის ასარიადებლად, მეორე მხრივ, ბუნებრივი მშობიარობის დადებითი მხარეებისა და საკეისრო კვეთასთან დაკავშირებული გართულებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

„მთელ მსოფლიოში დედათა სიკვდილიანობის შემთხვევებიდან ყველაზე ხშირი არის პრე-ეკლამსია (პრე-ეკლამსია ორსულობიდან 20 კვირის შემდეგ მაღალი წნეებით, სახის და ხელების შეშუპებით და შარდში ცილის მაღალი შემცველობით ხასიათდება). ყველაზე მეტი გართულება სწორედ აქედან მოდის. მეორე ადგილზეა მშობიარობის შემდგომი სისხლდენა და შემდეგ უკვე ინფექციური გართულებები. საქართველოში რამდენადაც ვიცო, პირველ ადგილზეა საკეისრო კვეთის ან ბუნებრივი მშობიარობის შემდგომი სისხლდენა.“ – აცხადებს ზაზა სინაურიძე.

თიონა კანჭიაშვილი

სა - ხელისგულზე...

ჭეშმარიტი პატრიოტისა და მეცნიერის პრეპონიშება



ვვგენი ხარაძე - 110

110 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში ასტრონომიული მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს **ვვგენი ხარაძის** დაბადებიდან. ბატონი ევგენი მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს ქვეყნის ისტორიაში.

ე. ხარაძე დაიბადა 1907 წლის 31 ოქტომბერს თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. თბილისშივე მიიღო მან საშუალო განათლება. 1925 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1931 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ლენინგრადის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ბ. ნუმეროვის რეკომენდაციით ე. ხარაძე ჩაირიცხა ხსენებული ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამ დროისთვის ჩამოყალიბდა აზრი აბასთუმანში, ყანობილის მთაზე ასტროფიზიკური ობსერვატორიის მშენებლობის დაწყების თაობაზე. 1932 წელს საქართველოს მთავრობამ ბატონი ევგენის მოხსენების საფუძველზე მიიღო დადგენილება ყანობილის მთაზე საბჭოთა კავშირში პირველი მაღალმთიანი ობსერვატორიის მშენებლობის შესახებ. სრულიად ახალგაზრდა, 25 წლის ასპირანტი, გახდა ჯერ კიდევ შექმნის პროცესში მყოფი, აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი. დაიწყო ბატონი ევგენის თავდაუზოგავი შრომა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გრძელდებოდა. ობსერვატორიის მშენებლობა, რომელსაც ე. ხარაძე ხელმძღვანელობდა, ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა. იგი ხორციელდებოდა მაღალ მთაში უზოზობის, ორგანიზაციული სიძნელების პირობებში. ბატონი ევგენის დაუცხრომელი ენერგია, მიზანდასახული მოქმედება გახდა მისი აშენებისა და იმ დროისათვის საუკეთესო ასტრონომიული დანადგარებით აღჭურვის საწინდარი. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ბატონი ევგენის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ფართო საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე უნიკალურ სამეცნიერო დაწესებულებად, იგი ჭეშმარიტად წარმოადგენს აკადემიკოს ევგენი ხარაძის ქმნილებას და სრულიად ბუნებრივია, რომ დღეს აბასთუმნის ეროვნული ობსერვატორია მის სახელს ატარებს.

აბასთუმნის ობსერვატორიის საქმიანობა დაარსების დღიდან მოიკვამს ასტროფიზიკის, ვარსკვლავთა და გალაქტიკური ასტრონომიის, ცვალებადი და არასტაციონარული ვარსკვლავების კვლევას, მთვარის ზედაპირის, მზისა და მზის სისტემის სხეულების, პლანეტების ფიზიკისა და რადიოასტრონომიის საკითხების შესწავ-

ლას და სხვ. ვარსკვლავთა სიჭარბის მეთოდის გამოყენებით ბატონი ევგენის მიერ შედგენილია იმ დროისათვის უნივერსალური, ყველაზე ზუსტი კატალოგი, რომლის ყოველმხრივმა და სრულმა ანალიზმა მისცა ავტორს საშუალება გამოეყვანა რეალური, მანამდე უცნობი ვარსკვლავთშორისი შთანთქმადი მატერიის განაწილების სურათი.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო კვლევებმა აღიარება მოიპოვა მსოფლიო მასშტაბით. ბატონი ევგენი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ასტრონომიული ორგანიზაციებისა და მათი ყრილობების მუშაობაში. ცნობილია ის დიდი რეზონანსი, რაც გამოიწვია ე. ხარაძის გამოსვლამ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის XVII ყრილობაზე და ამ კავშირის კოლოკვიუმზე ვატიკანში, რომელიც მიეძღვნა სპექტრალური კლასიფიკაციის საკითხებს. 1975-1982 წლებში ბატონი ევგენი გახლდათ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. იგი ამავე დროს იყო რიგი ასტრონომიული კომიტეტის წევრი, არაერთი საერთაშორისო ფორუმის ორგანიზატორი.

განუზომად დიდია აკად. ე. ხარაძის ღვაწლი საქართველოში ასტრონომიული განათლების დაწესების საქმეში. მან ნახევარ საუკუნეზე მეტხანს უხელმძღვანელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის კათედრას. ბატონი ევგენის ლექციები გამოირჩეოდა დიდი პროფესიონალიზმით, სიღრმითა და მაღალი კულტურით. მან ქართულ ენაზე გამოსცა ფუნდამენტური სახელმძღვანელოები „ასტროფიზიკის ზოგადი კურსი“ და „ასტრონომიის საფუძვლები“ ორტომეული. კარგად ესმოდა რა ასტრონომიის სწავლების მნიშვნელობა სასკოლო განათლებაში, მან სრულიად ახალგაზრდამ მოსწავლეთათვის დაწერა მათთვის გასაგები, იმავდროულად სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული ორიგინალური სახელმძღვანელო. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბატონი ევგენის მოღვაწეობის წლებში მისი ძალისხმევით ასტრონომია გახდა სასკოლო პროგრამის ნაწილი ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს მოხდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

1959 წლიდან 1966 წლამდე ე. ხარაძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტი ეკავა. იგი მართლაც რომ სამაგალითო რექტორი იყო, მისთვის ჩვეული ენერგიით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ უნივერსიტეტი ყოველივე მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს შორის. მისი ყოველდღიური საქმიანობის ყურადღების ცენტრში იყო სტუდენტობა, ახალგაზრდა მკვლევრების შემოქმედება, მუდამ ზრუნავდა მათი უკეთ წარმოჩინებისათვის მეცნიერების ამა თუ იმ დარგში.

აკადემიკოსი ევგენი ხარაძე 1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1978 წელს აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ პოსტზე იგი ღირსეულად აგრძელებდა იმ ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს მისმა სახელოვანმა წინამორბედებმა. ბატონი ევგენი დღენიადაგ ზრუნავდა მეცნიერების პერსპექტიული მიმართულებების განვითარებაზე, მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

1984 წელს ევგენი ხარაძე აირჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მუდამ ინტერესს იჩენდა მისი პირმშოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საქმიანობისადმი. როგორც წესი, კვირაში ერთხელ სტუმრობდა ყანობილს, რათა ორი დღე მთლიანად საყვარელი საქმისთვის დაეთმო.



ბატონი ევგენი 60 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აბასთუმნის ობსერვატორიას. მთელი ამ წლების მანძილზე იგი რეგულარული გამოცემის „აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენის“ მთავარი რედაქტორი იყო, რედაქტირებას უწევდა ობსერვატორიაში შესრულებულ ყველა სამეცნიერო ნაშრომს. 30 წლის მანძილზე იყო „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ რედაქტორი.

ყველაფერი, რასაც ევგენი ხარაძე ქმნიდა, როგორც მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, ალბეჭდილი იყო უმაღლესი სტანდარტების ნიშნით. იგი იყო დაუღლე შრომის, მოქმედებისა და ორგანიზებულობის სიმბოლო. ბატონი ევგენი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფიქრობდა და იღვწოდა თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის.

ბატონი ევგენის ჰუმანური პიროვნული მოხიბვლობა, მასთან ყოველი კონტაქტი იყო საოცრად მთავრად და სასიყვარულოდ დასაბამსმომცემი. იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა კოლეგებისა თუ მოწაფეების არა მხოლოდ მეცნიერული კარიერის, არამედ მათი პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანის მიმართ და დაუღლედ ზრუნავდა მათზე.

მაღლიერი ქართველი ხალხი მუდამ შეინახავს თავისი ღირსეული შვილის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქის სსრკ-ისა და საქართველოს ეროვნული აკადემიის

© ისეც ჩვენი ახალი ტექნოლოგიები!

Bloomberg-ის მიხედვით, რობოტებმა შესაძლოა, 2030 წლისთვის 800 მილიონი ადამიანის სამუშაო ადგილი ჩაანაცვლონ. აღნიშნულთან დაკავშირებით კვლევა საკონსულტაციო კომპანია McKinsey & Co.-მ ჩატარა. კვლევის ობიექტს 46 ქვეყანა და 800 სამუშაო ადგილი წარმოადგენდა.

McKinsey-ის მიხედვით, რობოტები სამუშაო ადგილებს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში დაიკავენ. ავტომატიზებული ტექნოლოგიების განვითარება ყველაზე ნეგატიურად ისეთ პოზიციებს შეეხება, როგორცაა სწრაფი კვების ობიექტებში მომუშავე პერსონალი და ბექ-ოფისში მომუშავე ადამიანები.

McKinsey Global Institute-ის თანახმად, იმ შემთხვევაშიც, თუკი რობოტების ზრდა სწრაფად არ განვითარდება, ავტომატიზებული ტექნოლოგიის დამსახურებით 400 მილიონ ადამიანს ახალი სამუშაო პოზიციის მოძებნა მოუწევს.

რობოტები მოდიან

800 მილიონი ადამიანის სამუშაო ადგილს საფრთხე ემუქრება!

„დროთა განმავლობაში, ცვლილებებთან შეგუება და ახალი საქმის კეთების სწავლა ყველას მოგვინევს.“ – განაცხადა McKinsey-ის პარტნიორმა სან-ფრანცისკოში მაიკლ ჩუიმ.

გასულ კვირას ცნობილმა ამერიკულმა მედიასაშუალებამ CNBC-იმ, ცნობილი ჩაის მწარმოებელი შრილანკური კომპანიის, Dilmah Tea-ს გენერალურ დირექტორ დილჰან ფერნანდოსთან ინტერვიუ ჩაწერა. მისი განცხადებით, ჩაის ინ-



დუსტრიაში რობოტების გამოჩენის შემდეგ მილიონობით ადამიანი სამუშაო ადგილს დაკარგავს. „დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ვნახავთ, თუ როგორ კრეფენ ჩაის რობოტები, ან დრონები.“ – განაცხადა დილჰან ფერნანდომ.

დილჰან ფერნანდოს ვარაუდის გამართლების შემთხვევაში, მსოფლიოში მნიშვნელოვანი ცვლილებები ნამდვილად მოხდება. მდგრადი განვითარების სააგენტოს, Solidaridad-ის მიხედვით, მსოფლიოში ჩაის ინდუსტრიაში დაახლოებით 13 მილიონი ადამიანია ჩართული, მათი უმრავლესობა კი ნაკლებად მდიდარ, განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენს: ჩინეთი, ინდოეთი, კენია და შრი-ლანკა.

მიმდინარე თვის დასაწყისში, ელექტრომობილების მწარმოებელი კომპანიის, Tesla-ს გენერალურმა დირექტორმა ელონ მასკმა კომპანიის უახლესი თვითმავალი სატვირთო ავტომობილი წარადგინა. ავტომობილის გამოჩენა ბაზარზე მომდევნო წლებში იგეგმება. ანალიტიკოსების შეფასებით, 2025 წლიდან, თვითმავალი სატვირთო ავტომობილების გამოჩენის შედეგად, აღნიშნულ ინდუსტრიაში ყოველწლიურად 300,000 ადამიანი დაკარგავს სამუშაო ადგილს.

Bloomberg, CNBC

მსოფლიოში არ არსებობს მეორე დედაქალაქი, რომლის მოსახლეობა თბილისელებზე უფრო აქტიურად იყოს ჩართული საკუთარი ქალაქის განაშენიანებისა და მისი იერსახის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, თუმცა კი ამის შედეგი, უმრავლეს შემთხვევაში, ნოლის ტოლფასია. ეს გახლავთ ერთი იმ აზრთაგან, რომელიც 29 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზში საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით გამართულ სამამულო არქიტექტურის ორი აღიარებული მეტრის ბიბა ბატიანიშვილისა და ვახტანგ დამიანიშვილის არქიტექტორებთან, მშენებლებთან, ქალაქის საკრებულოსა და საზოგადოების დაინტერესებულ წარმომადგენლებთან შეხვედრას ერთგვარ წითელ ზოლად გასდევდა.

ნაძალადევის მხარე (ავჭალიდან ვიდრე აეროპორტამდე) და ეგრეთ წოდებული საძილე რაიონები (დიდის მასივი, გლდანი, თემქა, ვაზისუბანი და ა. შ.). ეს უამრავ პრობლემას წარმოშობს, რომელთა გადაჭრის გზა მულტიცენტრული აგებულების ქალაქის შექმნაზე ზრუნვის დროულად დანერგვაა. პირველი რიგის ამოცანად ბატონი გიგა დედაქალაქში, პირველ ყოვლისა,

დამკვეთის ნებაზე მიშვებული, პროექტების განხილვა დახურულ კარებს მიღმა ხდება. ამ ყველაფერის შედეგი კი ის უპრეცედენტო სიმანხიჯეებია, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ცხრანლიანი ავტორიტარული მმართველობის პერიოდში თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და მესტიაში აიგო.

უცხოელ „გაიარქიტექტორთა“ სრულიად გაუგონარი თავხედობები საქართველოში ბატონმა ვახტანგ დავითაიამ მეზობელ აზერბაიჯანში ბოლო წლების მანძილზე შექმნილ ზოგიერთ სრულიად განსხვავებულ, ბრწყინვალე ნაგებობას შეადარა, კატასტროფული განსხვავების საილუსტრაციოდ მან ასეთი შედარებაც კი მოიყვანა: **ბაქოს აეროპორტის შენობასთან შედარებით, თბილისის აეროპორტის შენობას... საზოგადოებრივი ტუალეტის ფუნქცია უფრო შეეფერება!**

დამსწრეთა ყურადღება მან იმასაც მიამჩნია, რომ მრავალი ქალაქი, მათ შორის სანკტ-პეტერბურგის, კიევის, თბილისის და მშენებლობაში არაერთ უცხოელ არქიტექტორს აქვს მიღებული მონაწილეობა, მაგრამ თავიანთ საქმიანობაში ისინი ადგილობრივ ფუძეს ეყრდნობოდნენ. ავტორიტარული მმართველობის ხანის უცხოელ „დაქირავებულებს“ კი ადგილობრივ ფესვებთან რაიმე კავშირის დამყარებას ოფიციალურ დონეზე უკრძალავდნენ – ემანდ, შემთხვევით, ეროვნულმა სულისკვეთებამ არაფერში გამოსჭყვივოსო...

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ თავის გამოსვლას ბატონმა ვახტანგ დავითაიამ უაღრესად მეტყველი ვიზუალური მსკვრივი დაურთო, რომელსაც ზუსტი სარკასტული კომენტარები დააყოლა. მან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა დაახლოებით სამი ათეული მანამდე სრულიად უცნობი და უსახელო (უიშვიათესი გამოჩენის გარდა) არქიტექტორის საქართველოში „დანატოვარი“ სიმანხიჯეები – შსს სამინისტროს შენობა, სიყვარულის პრანქია საფეხმავლო ხიდი, რიყის „ყანები“, სიონის საყდრის მიმდებარე აგებული სამორინე, „მანგრილა“, პრეზიდენტის სასახლის ინტერიერი, პოლიციის შენობები, ანაკლიაში „სექსუალური გადახრების“ აშკარა ნიშნების მატარებელი ნაგებობები, სრულიად უფუნქციო ანბანის კოშკი ბათუმში, პარლამენტის უზარმაზარი „კუ“ ქუთაისში, სხვები.


ამასთან, მან ისიც დასძინა, რომ აღნიშნულ შენობათა შორის ერთიანად ყველა ასე ხელაღებით მოსაშლელი უნიჭობა ნამდვილად არ არის, ზოგიერთი მათგანი თავის თავად საინტერესოა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ისინი შეუფერებელ ადგილებშია განთავსებული. ეს კი ჩვენი მშობლიური გარემოს უდიდესი შეურაცხყოფაა.

შეკრების დასასრულს კამათში ბერმა სპეციალისტმაც და არსპეციალისტმაც მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის მხოლოდ ერთი აღვნიშნავ. ეს გახლავთ თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორი, ასევე მშენებლობის ყოფილი მინისტრი **მერაბ ჩხენკელი**, რომელმაც ბატონ ვახტანგ დავითაის მოხსენების ერთგვარ ილუსტრაციად თბილისის გმირთა მოედნის მაგალითი მოიყვანა, რომელზეც აშენებული ესტაკადების ბადის ნაცვლად მხოლოდ ერთი ხიდის აგება იკმარებდა, თან ისიც დასძინა, რომ ესაა მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევა, სადაც ესტაკადაზე... შუქნიშანია დადგმული!

მეტად საგულისხმო იყო ასევე ბატონ მერაბ ჩხენკელის ცნობა იმის თაობაზე, რომ იგი და ბატონი გიგა ბათიაშვილი ამჟამად ერთობლივად არქიტექტურულ-სამშენებლო კოდექსის შექმნაზე მუშაობენ, რომლის განხილვა ახლო მომავალში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართება.

ოთარ ტურაბელიძე

თბილისში არქიტექტურული პროსესი სრულიად მოუღიღია!



კონკრეტულ დანერგვებზე უფრო მეტი ინფორმაცია თანამედროვე საქართველოში მსოფლიო დაპატარავდა, თუმცა კი მასში მრავალი ეთნოკულტურაა,

პროფესიულ საფუძველზე დამყარებული ახალი არქიტექტურული სამსახურის შექმნას მიიჩნევს, რომელიც ყველა სამშენებლო-საექსპლუატაციო ნორმას უმკაცრესად დაცავს. ასევე აღსადაგნია ქალაქის მთავარი არქიტექტორის ინსტიტუტი.



შოთა რუსთაველის საზოგადოების თავკაცმა **დავით შემოქმედელმა** შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ თბილისის განაშენიანებასა და მის არქიტექტურასთან დაკავშირებულ აუარება პრობლემას ხალხი იმდენად მტკივნეულად განიცდის, რომ სასურველი შედეგების მიზანმიმართულ აუცილებელია, ასე ვთქვათ, „ემოციური პატრიოტიზმის“, „სტაციონარული“ გადაყვანა. თანაც ყოველივე არა პოლიტიკის, არამედ, უწინარესად, თავად არქიტექტურის კანონებიდან გამომდინარე უნდა აღიქმებოდეს. თუმცა კი ისიცაა, რომ ყველაფერი იმდენად პოლიტიზებულია, რომ სადღესოდ შექმნილ ვითარებაში ურბანული განვითარება, არსებითად, ინვესტორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ასეთი იმპერატიული ჩარევის შედეგია, რომ თბილისის უნიკალური ბუნებრივი სივრცე უმოწყალოდ იხშობა – ამის თვალნათელი სავალალო მაგალითებია მთაწმინდის მიმდებარე უბნები, საბურთალოზე სპორტის სასახლის მიმდებარე ყოფილი აკადემიკაქალაქის ერთიანად ქაჯეთის სამოსახლოს დამსგავსებული მიდამო, სხვა რაიონები.

თბილისში ყველაფერი ცენტრშია თავმოყრილი, რაც ქალაქში უამრავ სხვადასხვა სახეობის პრობლემას წარმოქმნის, ამიტომაც აუცილებელია მისი პერიფერიებისკენ განტვირთვა, მრავალცენტრიანი თანამედროვე პოლისის განვითარებაზე ზრუნვა. უაღრესად ანგარისგასანეცია ისიც, რომ ქალაქი არ შეიძლება მუზეუმს დაემსგავსოს, ამიტომ ძველ არქიტექტურას ახალიც ორგანულად უნდა შეერწყას. ამასთან, მხედველობაში აუცილებლად დასადგები ურბანული მშენებლობის უსაფრთხოების, მათ შორის სახანძრო, სეისმური და ა. შ., ნორმების დაცვის აუცილებლობა, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ბათუმის სასტუმრო „ლეოგრანდში“ ცოტა ხნის წინათ ხანძრის შედეგად დატორიალურულმა ტრაგედიაში.

რალაც წიგნი კაცმა შეიძლება არ წაიკითხოს, ან კიდევ, რომელიმე კინოფილმი ან სპექტაკლი არ ნახოს, – ეს მის ნებაზეა დამოკიდებული, არქიტექტურა კი ისეთი რამაა, რომ გინდა-არ გინდა ყველას თვალწინ გვაქვს, მას ვერსად გადამაღავ, – საესტეტიკო მართებულად შენიშნა შოთა რუსთაველის საზოგადოების სახელოვნო სექციის თავმჯდომარემ, ფილოსოფოსმა **დავით ანდრიაძემ**. – არქიტექტურის ტრიადა მდგრადობა, სარგებლიანობა და სილამაზეა, რომელთა მნიშვნელობა, გარკვეულწილად, მათი მოცემული რიგითობით განისაზღვრება. ამდენად მასზე მხოლოდ ესტეტიკური თვალთახედვით ლაპარაკი მართებული არ არის, ის უფრო სამყაროს ფილოსოფიურად აღქმის ერთგვარი ხერხია.

მთავარი საკითხი, რომელიც მათ წინაშე უნდა დაისვას, ვისაც, ზოგადად, არქიტექტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა ევალება, იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველად იმის მკაფიო განმარტებაა საჭირო, თუ ვინა ვართ ქართველები, რა საფუძველზე ვდგავართ, რას წარმოადგენს ჩვენი რაობა, – თქვა გამოსვლისას ჩვენმა სახელოვნომა არქიტექტორმა **გიგა ბათიაშვილმა**. – თუკი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევძლებთ, მაშინ, შესაძლოა,

მათგან ერთ-ერთიც რომ გაქრეს, ქვეყნიერება გაღარბდება, ამიტომ ყველას მოფრთხილება სჭირდება. ერთა შორის ზოგი სხვათა ჩაყრილ საფუძველზე დგას, ზოგმა ეს საფუძველი კი დაამკვიდრა, მაგრამ თავად აღარ არის, ზოგმა კი ფუძეც მკვიდრი შექმნა და დღესდღეობით თავდაც არის, აი, ესა ვართ ქართველები. ჩვენ ვართ დიდი ევროპული ცივილიზაციის თანააღმშენებლები: მართალია, ის ჩვენ არ აგვიგია, მაგრამ არც ჩვენთვის აუშენებია ვინმეს. ჩვენ ევროპელები ვართ, თანაც ისეთები, რომლებიც თავად „იქაურ“ ევროპელებშიც ნაკლებად არიან შემორჩენილი. ეს კი, პირველ ყოვლისა, არქიტექტურით აღიქმება, რომელიც ეპოქის ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ სახეს წარმოადგენს. არქიტექტურა მედიცინაზე საშიში მეცნიერებაა – თუ არასწორი მკურნალობით ექიმი ერთი კაცის აღმშენებლობას ავნებს, უნიჭო არქიტექტორი უამრავ ხალხს აზარალებს.

დღეს თბილისში, არსებითად, ორი ქალაქია – ერთია შედარებით გამართული, მეორე კი, რომელიც თავის მხრივ, გაცილებით ცუდადაა მოწყობილი და თავის მხრივ, ისიც ორნაწილიანია: მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებაზე

გაქცევა ეპოქისაგან, ჰეროვნებისაგან გაქცევა

ტომას ელიოტის ესეების კრებული „საღვთო ტყე“

წმირ კიდევ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში უმბერტო ეკოსთვის რომ დაგვეჯერებინა, რომელმაც დაწერა სტატია „შუა საუკუნეები უკვე დაიწყო“, ეგებ გვერწმუნა, რომ შუა საუკუნეებმა ისეთი მყარი მენტალური მატრიცა შექმნა, მისი გაფერმკრთალება დრომ ვერ მოახერხა.

ან იქნებ დრო არც ებრძოდა მას? ებრძოდნენ ადამიანები, რომლებიც სწორი პროვინციალიზმით ამტკიცებდნენ, ჩვენ სხვა ვართ, ახლები, ნოვატორები, ძველებთან ანუ ბნელებთან ნუ გაგვიგივებთო.

რადგან ეს ბრძოლა კაცობრიობის უნივერსალური ნევროზი აღმოჩნდა, ჩვენ კი – ეკოს მომხრენი, გვევალება კიდევ იმის გახსენება, რომ შუა საუკუნეობრივი ექიმი ჯერ შტუდირებდა ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას და მერედა ხედავდა და ეხებოდა მის კომპონენტებს თვალნათლივ და ხელდახელ – იმდროინდელი საეკლესიო-რელიგიური ტაბუს გამო: გვაქვს მისი მოპოვება ძალიან ჭირდა!

ზუსტად ასე დაგვემართა ჩვენც: თუ ელიოტის პოეტური მემკვიდრეობის წაკითხვა რუსულად მაინც შესაძლებელი იყო, მისი ესეისტურ-კრიტიკული ნააზრევი უცხოობას ინარჩუნებდა. საბჭოთა საზოგადოებრივი სტანდარტებისთვის ელიოტი არა მხოლოდ უცხო, გაუგებარიც, და ამდენად, მანვე იყო. ჩვენც, ვთქვათ, ჯერ ზვიად გამსახურდიას ესეიში „ტრადიციის გაგება ტ.ს. ელიოტის შემოქმედებაში“ ამოვიკითხავდით ელიოტის ესეის „ტრადიცია და პროვინციული ნიჭიერება“ ძირითად პოსტულატებს, და მერედა, ინტერნეტის ეპოქაში, გავცნობოდით საკუთრივ ესეის ორიგინალურ ტექსტს, და ისე გავთამამდებოდით, სტუდენტებს ვართარგმნიდით კიდევ მას, როგორც მოდერნიზმის სანიშნო ტექსტს.

სწორედ ამის (და ბევრი სხვა მიზეზის) გამო, ძალიან გვიხარია, რომ ტომას ელიოტის „საღვთო ტყე“ ქართულად ითარგმნა და გამოიცა. მართალია, ის პირველად ჯერ კიდევ 1921 დასტამბეს ნიუ-იორკში და ქართული გამოცემა, კაცმა რომ თქვას, გვარინად დაგვიანებულია. თავის დამწიფება არაფერს მოგვიტანს. მხოლოდ ანდაზების მოყვარულნი ინეტარებენ: სჯობს გვიან, ვიდრე – არასდროსო...

ჩვენ კი მხოლოდ ის დაგვამწიფებდა, რომ ჩვენ შორისაც იყვნენ ისეთები, რომლებიც ჯერ კიდევ 2010 წელს გამოსცემდნენ ელიოტის „ათ ესეის“.

ამ ლიტერატურულ დუეტს **პაბტა და როსტომ ჩხეიძე**ს სახელით იცნობენ.

ელიოტისთვის უმნიშვნელო არასოდეს ყოფილა, რა სახელწოდებას შეურჩევდა საკუთარ „პირმშოს“. ამ საღვთო აქტის ერთ-ერთი გამოსახულებაა „საღვთო ტყე“. მცირე რეფლექსია კრებულის სათაურზე:

ადამიანი, რომელიც პირველყოფილ კავშირს აუქმებს ბუნებასთან, უპირისპირდება კიდევ მას. ტყე იმდენადაა ადამიანისთვის მტრული, რამდენადაც თვით ადამიანი დისტანცირდება მისგან. ბუნებრივია, ათასწლეულების განმავლობაში უტყეოდ მცხოვრები ადამიანი ამ სამყაროს გაუგებრად და სახიფათოდ მიიჩნევს. როგორც კარლ-გუსტავ იუნგი წერდა, ტყის წიაღი, ბნელი და უსიერი ადგილი – ყოველივე უცხოა და იდუმალის სამყოფელია, ტყე არაცნობიერის მარჯვე სინონიმია.

იღუპება კი, ცხადია, გაპრტოხს, თუნდაც ეს საკუთარი არაცნობიერი ანარეკლი იყოს. არ უნდა იყოს შვიტის-შვიტით, რომ სიტყვა „პანიკა“ ტყეში მისი კვილბერძნული ლმერთის – პანის – სახელს უკავშირდება!

ურთიერთგანსხვავებულია სხვადასხვა ხალხის მსოფლშეგრძნებასთან ტყის სი-ახლოვე.

დანტე ალიგიერთან ვაწყდებით „სწორი გზისა“ და „ბნელი ტყის“ ოპოზიციას. ტყე ბევრი რამით მართლაც უცხოა იტალიელის „მარადმწვანე კოსმოსისათვის“.

სავსებით სხვაგვარია გერმანელი ხალხის მსოფლჭკრეფა. ხე საყვარელია, ტყე კი – მშობლიური და ახლობელი. რიჰარდ ვაგნერის „ზიგფრიდში“ „ტყის შრიალი“ იდილიაა.

არქაული შეხედულებისამებრ, ტყეში მართლაც იგულისხმებოდა გზა ქვესკნელისკენ, თუმცა იქვე იყო ზეციური სამყაროთა კარიბჭეც.

ხანდახან ტყე განიხილებოდა შუალედურ სამყაროდ, რომელიც დანარჩენ სამყაროებთან დაკავშირების ერთგვარი პორტალი გახლდათ.


ტაციტუსი ტყეს მიიჩნევდა ღმერთების სავანედ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ბევრი ხალხი სწორედ ტყეში აწყობდა სალოცავებს.

იაკობ გრიმმა ტაძრის აღმნიშვნელი ტყეცნობიერი სიტყვებით შეისწავლა და დაასკვნა, რომ გერმანელთა უძველესი სალოცავები ბუნებრივი ტყეები იყო.

კელტ ქურუმთა წმინდა ჭალებზე, დროიდებზე გვიამბობენ ცეზარი, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის რომაელი პოეტი ლუკანი და სხვა რომაელი ავტორები. მათი ჩანაწერების თანახმად, „წმინდა ჭალები და ტყეები“ დრუიდთა საცხოვრისი იყო, სადაც ისინი საქმიანობდნენ და ჭაბუკ ქურუმებს წვრილნიდნენ.

ტაციტუსი ადასტურებს, რომ რომაელი დამპყრობნი კელტებთან წინააღმდეგობისა და დაუყოვნებლივ ჩეხდნენ მათ წმინდა ჭალებს, სადაც კელტები თავიანთ „სასტიკ ჩრდილოურ რიტუალებს“ ასრულებდნენ. ასევე იქცეოდნენ ქრისტიანებიც – ჩვენი ჭყონდიდის ამის ნაშთია!

ამგვარად, შესაძლოა, ელიოტის „საღვთო ტყე“ ამ არქაული კულტურის განაჩენიც იყოს: როგორ გააქრო ძველი, ტრადიციული სამყარო, რომელიც აზრი ემოციას ჯერაც არ გამოცალკევებია, ადამიანური ეგოცენტრიზმით გამომდინარეობდა და ახალი ეგოცენტრიზმით უბრალოდ გამომდინარეობდა.



დიციული სამყარო, რომელიც აზრი ემოციას ჯერაც არ გამოცალკევებია, ადამიანური ეგოცენტრიზმით გამომდინარეობდა და ახალი ეგოცენტრიზმით უბრალოდ გამომდინარეობდა.

კიდევ ერთი რელიქტია: ენ. Sacro Bosco, ქართულად – „წმინდა ჭაღა“, მითოლოგიური არსებებითა და ფანტასტიკური ნაგებობებით მოფენილი პარკი პატარა ქალაქ ბომარცოში, რომელიც მე-16 საუკუნის კონდოტიერ ვიჩინო ორსინის მიუძღვნია ცოლისთვის.

ვინ გამოიჩინა, რომ ელიოტს თავი ამ პარკში მოსიერნედ წარმოედგინოს და განსახილავ ავტორთა სახეხანაც „ქ“ მოეხილოს!

დაბოლოს: ამ წიგნში ნაერთგულეები ესთეტიკური სტანდარტები შობს მომავალ ტომას ელიოტს.

ამიტომ გავხაზავდი, რომ, საკუთარი ლიტერატურულ-კრიტიკული თეორიის შემუშავებისას, ელიოტი მეტწილად ეყრდნობოდა მეოცე საუკუნის კონსერვატორ მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ: ირენგ ბებიტი (1865-1933) – ამერიკელი კრიტიკოსი და მეცნიერი, რომანტიზმის მტერი და ახალი ჰუმანიზმის მედროშე, ტომას ჰიუიმი (1883-1917) – ინგლისელი კრიტიკოსი, იმაჟინიზმის თეორეტიკოსი, და შარლ მორასი (1868-1952) – მეტად წინააღმდეგობრივი კრიტიკოსი, ნაციონალისტი და ანტიემიტი. როგორ შეიძლება მათი იმ ძირითადი დებულებების რენდერირება მოკლედ, რომელთაც აგრერიგად იმოქმედეს ჭაბუკ ელიოტზე?

ვცადოთ: ადამიანი შეზღუდული და უსრულია. პიროვნების უკიდურესად ადამიანური

სფერო კიდობანია ყოფითი, მასობრივი, სტერეოტიპული ემოციებისათვის, რომლებიც ანგრევენ ჭეშმარიტ ინდივიდუალობას. ამ სანყისის კულტივირება, მისი მიჩნევა უსაზღვრო შესაძლებლობებით აღჭურვილად, დაუშვებელია. პოლიტიკაში ამას მივყავართ რიგითებისაგან შემდგარი უმრავლესობის პრაქტიკულ ინტერესთა გამართლებელ დემოკრატიზმამდე, სულიერ სფეროში – აბსოლუტურ ფასეულობათა იგნორაციამდე. ხელოვნებაში ამის ტოლფასია პრიმიტიული თვითგამოხატვა. შესაბამისად, საჭიროა სუბიექტური, მე-ს შემზღუდველი ფასეულობათა სისტემის დადგენა.

ამის მხატვრულად ტრანსლირებას ცდილობდა ელიოტი. მისი აზრით, ლიბერალურად მოაზროვნე პოეტი თუ კრიტიკოსი განადიდებს ადამიანის პიროვნებას, რომელსაც ძალუძს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება და მის მიღმა არსებული ძალაუფლების უგულვებელყოფა. საკუთარ მე-ზე ორიენტირება ანუ ენ. „წინაგანი ხმა“ ლიბერალ მოაზროვნეს შემოქმედებითი უნიკალობის პირობა ჰგონია. სინამდვილეში კი, სუბიექტურობა სულაც არ ნიშნავს ინდივიდუალობას, რადგან ასეთი ემოცია გონების სასწორზე არ აწონილა; ის პრიმიტიულია და სტერეოტიპულია. ის ბრბოსთვის ნიშანდობლივი ემოციაა.

ერთადერთი ძალა, რომელსაც კულტურაში ლიბერალიზმის ბატონობასთან შეწინააღმდეგება ძალუძს, უპიროვნო ხელოვნებაა. ნამდვილად პოეტმა ისე უნდა თხზას ლექსი, როგორც მსახიობმა შეასრულოს როლი, დრამატურგმა კი შექმნას პერსონაჟი. მან უნდა შეზღუდოს პიროვნული მე, აბსტრაგირდეს მხატვრული რეალობით ყოველგვარი დაინტერესებისაგან. კერძო, წარმავალი ადამიანური ემოცია უნდა გავიტანოთ სუბიექტის წინაგანი სამყაროს მიღმა და გარეგან ობიექტად წარმოვადგინოთ.

ყოველივე შემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ელიოტი საერთოდ არ ითვალისწინებს პოეტის პიროვნებას. ნაწარმოების შექმნის პროცესში პიროვნება, მართალია, არ მონაწილეობს, მაგრამ ირიბად მაინც ზემოქმედებს. შემოქმედება ხომ „მასალის დაგროვებაცაა“, რომელსაც პოეტი ყოველდღიურობიდან საპავს. სწორედ აქ მნიშვნელობს ყველაზე მეტად შემოქმედის მე, ცნობიერების სწორედ ეს სფერო ფუნქციონობს შემოქმედის მიერ გარე რეალობის შეცნობისას.

დაიძვებული ვარ, ბევრი ვერაფერი გაიგეთ. ხოლო თუ ელიოტის ამ ფრაზასაც ავიჩემებ, პოეზია არა ემოციის თავისუფლად გამოხატვა, არამედ მისგან გაქცევაა; ეს პიროვნების გამოხატულება კი არა, პიროვნებისაგან გაქცევაა. თუმცა ის, ვინც პიროვნებაცაა და ვისაც ემოციაც მოსდგამს, ხედავს, რას ნიშნავს მათგან გაქცევაო, უწყინარი გამოსავალია რჩება: ამ წიგნის წაკითხვა: ტომას ელიოტის ესეების კრებულისა პოეზია-სა და კრიტიკაზე „საღვთო ტყე“.




გიორგი ჯორჯაძე

გზა... ვარდისფერი

მეცხანად უამრავი გამოცემა გამოდის, გაზეთი გინდა თუ ჟურნალი, წიგნებზე აღარაფერს ვამბობ, მაგრამ დედამინის ზურგზე არ მეგულება ვინმე ისეთ გაზეთს გამოსცემდეს, როგორსაც ჩვენი ძველი მეგობარი, გამორჩეული მამულიშვილი ანზორ ბაბუნაძე იყვენ ისეთები, რომ მისმენია და მეც ამ აზრის ვარ, რომ ეს თავისებურად „სულითის გაზეთია“, რომელიც ერთდროულად სიცოცხლესაც კიდევ უფრო გვაყვარებს და სიკვდილს გვათრგუნინებს.

სისოცხლის ნიბნი, სიკვდილს რომ გვათრგუნინებს...

აბა, რა არის, როცა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები უკვე სიკვდილის ვალმობდნენ, ჯერ გაზეთიდან განაგრძობენ ჩვენთან ურთიერთობას და შემდეგ კი „თანადგომის“ მიხედვით შედგენილი წიგნებიდან. რახან ვალი ვახსენე, „ფარდობითობის თეორიის“ გენიალური ავტორი მომაგონდა, რომელმაც, თითქოს გულმა უგრძნო, სიკვდილის წინა დღეებში დაწერა – სიკვდილს ახლა ისე ვუტყერი, როგორც ძველ ვალს, რომელსაც ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გადახდა უნდაო...



აი, ამ ვალს, ზოგიერთი თაღლითი თუ ყალბბანდი მოვალისაგან განსხვავებით, რომელთაც რომ შეეძლოთ, არც სიკვდილის ვალს გადაიხდიდნენ, მუდმივად ქვეყნის ბედ-ილბაღზე მოფიქრალი ადამიანები არა მარტო იხდიან, არამედ ლამაზადაც ისტუმრებენ. ცხონებული ჯანსუღ ჩარკვიანისა არ იყოს, სწორედაც ამ „ლამაზი სიკვდილის“ ლამაზად ვალგადახდით აცოცხლებს ანზორ ბაბუნაძე, რომელმაც აგერ ახლახან უკვე მე-სამე წიგნი გამოსცა („გზა... ვარდისფერი“) და ერთხელ კიდევ

შეგვახსენა, რომ სიცოცხლეს მაშინაც აქვს ფასი, თუ დედამინის ზემოთ ლირსულად იცნობრე და შენგანვე დათრგუნულმა სიკვდილმა ბევრისთვის ძვირფასი შენი ხსოვნა სამარეში ვერ ჩაგაყოლა...

დასასრულ, სიკვდილთან, ანუ სულისა და ხორცის გაყრასთან თავგადადებული მეზობელი ანზორ ბაბუნაძის სიტყვების პერფორანო უნდა დავასრულო ეს ჩემი მცირედი გულსიტყვა: ღმერთმა შეაძლებინოს ძვირფას ანზორს „თანადგომის“, ანუ – „სულითის გაზეთის“ კვლავაც გამოცემა და ამით სათანადო ვალის მოხდა არაერთი მამულიშვილის ნათელი ხსოვნის წინაშე.

ბურამ ნიკლაური

სეზონური

უდნაკარგო „შავი ზღვის ბიჭები“

საქართველოს სეზონურად გაერთიანებული ჩემპიონატი წლეულს რვა გუნდი ჩაება. ისინი სასპორტო კომპლექს „არენაში“ შეიკრიბნენ და პირველი წრის ოთხი ტურის შეხვედრები გამართეს. ყველა მატჩი მოიგო ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“, რომელიც რვა ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. 6-6 ქულით მეორე მესამე ადგილებს „ქუთაისი“ და თელავის „იმედი“ ინაწილებენ.

ჩემპიონატის მონაწილენი 10 დღეს დაისვენებენ, 12-14 დეკემბერს „არენაში“ აღმოსავლეთის 4 გუნდი ერთმანეთთან გაარკვევს ურთიერთობას, 22-24 დეკემბერს კი დასავლეთის ოთხეული პირველ წრეს ქუთაისში დაასრულებს. მომდევნო ორი წრის შეხვედრები, სავარაუდოდ, მიმოსვლით გაიმართება, რადგან თელავსა და ბათუმში სპორტის სასახლეების მშენებლობა დასრულდება და გუნდებს იქ ასპარეზობის შესაძლებლობა ექნებათ.

I ტური. ბათუმი - პეგასი 41:37, იმედი თელავი - სამტრედია 43:26,

სტუ-ქარიშხალა - წყალტუბო 41:26, ქუთაისი - გორი 44:35.

II ტური. ბათუმი - სტუ-ქარიშხალა 35:28, სამტრედია - გორი 22:33, იმედი თელავი - ქუთაისი 24:20, პეგასი - წყალტუბო 42:27.

III ტური. სტუ-ქარიშხალა - ქუთაისი 25:38, პეგასი - სამტრედია 37:21, იმედი თელავი - ბათუმი 14:28, წყალტუბო - გორი 36:41.

IV ტური გორი - ბათუმი 29:45

გორი: ვათიაშვილი, ჯაფარიძე, თითრაშვილი, დალაქიშვილი - 11, ტიელიძე - 7, გაგლოშვილი - 5, ახალბედაშვილი - 2, ზუბიაშვილი - 1, ტარუაშვილი - 1, ნიაზაშვილი - 1, ტურაშვილი - 1, ტერუნაშვილი.

ბათუმი: ვარშალომიძე, ცერცვაძე, გოგოლაძე - 11, ხაყოშია - 10, თევზაძე - 8, აბრამიშვილი - 6, სტურუა - 4, ქარდავა - 3, ბერძენიშვილი - 2, ყაველაშვილი.

მსაჯები: ლასლო ბოცი, ვიქტორ ვიდემანი (უნგრეთი).

წყალტუბო - იმედი 32:40

წყალტუბო: სილაგაძე, გიორგაძე - 9, ხელაძე - 8, მეტონიძე - 5, მ. გველე-



სიანი - 5, შვანგირაძე - 3, ჩაკვეტაძე - 1, კუხალაშვილი - 1, გ. გველესიანი.

იმედი: ხარაიშვილი, ცინცაძე, აბუნდაძე - 9, ბაინაზიშვილი - 8, მიქავა - 7, გავაშვილი - 6, გიორგაძე - 5, ცისკარიშვილი - 3, ყორიაული - 1, კორსანტია - 1, ერისთავი, მანჯავიძე, გოდელაშვილი.

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი.

პეგასი - ქუთაისი 35:44

პეგასი: ი. დიხამინჯია, ზარნაძე - 12, გ. დიხამინჯია - 7, ლაპიაშვილი - 7, ნ. ყვანია - 5, კალანდაძე - 2, ბაძალა - 2, ქათამაძე.

ქუთაისი: ანდრიაძე, კბილაშვილი - 12, გამზარდია - 9, რუსტამოვი - 9, გრი-

შკაშვილი - 8, ჭელიძე - 4, გოგალაძე - 2, სიმონია, უ. კობახიძე, ლომიძე.

მსაჯები: ნიკოლოზ კველიშვილი, ინა ჭკუასელი.

სამტრედია - სტუ 21:27

სამტრედია: შველიძე, ძნელაძე - 8, ხომერიკი - 4, გაგუა - 4, ცეცხლაძე - 2, ხონელიძე - 2, ნადირაძე - 1, მანაგაძე, თევზაძე, ადამია.

სტუ: ხანდოლიშვილი, გ. კობახიძე - 8, ასაბაშვილი - 7, ჩიკვილაძე - 6, ჯინჭარაძე - 3, გურასპაული - 2, თიგისვილი - 1.

მსაჯები: ნიკოლოზ კველიშვილი, ინა ჭკუასელი.

ლაშა დიდი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ბათუმი	4	4	0	0	149:108	8
ქუთაისი	4	3	0	1	146:119	6
იმედი	4	3	0	1	121:106	6
პეგასი	4	2	0	2	151:133	4
სტუ	4	2	0	2	121:120	4
გორი	4	2	0	2	138:147	4
წყალტუბო	4	0	0	4	121:164	0
სამტრედია	4	0	0	4	90:140	0

ლეგიონერები

დაპით სოჭოლაძე: „სუსტი მეტოქე არ გავიწყობია“

დონეცკის „შახტარისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა დავით სოჭოლაძემ „ვერესთან“ უკრაინის თასზე 4:0 გამარჯვების შემდგომ კომენტარი გააკეთა. ქართველი ფეხბურთელის თქმით, დიდი ანგარიშით მოგება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სუსტი მეტოქე ჰყავდათ.

„ამ მატჩის შედეგი არ ნიშნავს იმას, რომ სუსტი მონააღმდეგე გვყავდა. ჩვენ „ვერესი“ კარგად შევისწავლეთ და ზონები დაუფრთხვეთ, რის ხარჯზეც მოვიგეთ კიდევ დიდი ანგარიშით.

ალბათ, ჩემპიონატის შეხვედრაში „ვერესის“ შემადგენლობაში ცვლილებები იქნება, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ 3 ქულა მოვიპოვოთ“, - განაცხადა სოჭოლაძემ „მეშახტეების“ ოფიციალურ ვებგვერდთან საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ „შახტარმა“ „ვერესთან“ გამარჯვებით (4:0) უკრაინის თასის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ეს გუნდები ერთმანეთს დღეს, უკვე



უკრაინის ჩემპიონატი დაუპირისპირდებიან.

აქვე გეტყვით, რომ ქართველმა მცველმა სათასო მატჩში მინდორზე 90 წუთი შეუცვლელად დაჰყო.

გიორგი შოთაძე

რაზი

პოპოკი გაისად დაბრუნდება



ავსტრალიის ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე დევიდ პოპოკი ერთწლიანი პაუზის შემდგომ კარიერას განაგრძობს. 29 წლის მორაგბე „ბრამბიზის“ მთავარმა მწვრთნელმა დენ მაკკელარმა 2018 წლის სუპერ რაგბის განაცხადში შეიყვანა.

„ვოლაბების“ მესამე საზელმა 2017 წლის იანვარში ერთწლიანი შვებულება აიღო და მეუღლესთან ერთად დასავლელად სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა, ახლა კი კარიერის განახლება გადანწყვიტა და ავსტრალიურ ფრანჩიზს დაუბრუნდა.

ცნობისთვის: პოპოკი „ბრამბიზში“ 2013 წელს „ვესტერნ ფორსიდან“ (2006-2012, 69 მატჩი - 8 ლელო) გადავიდა. მან ამ დროის განმავლობაში „ველის რაშების“ მაისურით 30-ჯერ ითამაშა და 10 ლელო გაიტანა. „ვოლაბების“ კვარტი პირველად 2008 წელს მიორგო, მას შემდეგ 66 სანაკრებო კეპი მოიხვეჭა და მეტოქეები 7-ჯერ დააღელვოვა.

კობა კობახიძე

13 ქულით პერ უშველა

პროლეზის მეთე ტურში მარცხი განიცადა ესპანურმა „სასკი ბასკონიამ“, რომელმაც საკუთარ მოედანზე „ფენერბაჩის“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია - 69:83.

მოულოდნელად, მწირი სათამაშო დრო დაეთმო თორნიკე შენგელიას. ქართველი სასტარტო სუთელეში არ ყოფილა და პარკეტზე მხოლოდ 17 წუთი გაატარა. მიუხედავად ამისა, თორნიკემ გუნდს 13 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მაინც შესძინა. აღსანიშნავია, რომ ბასკთა ქართველი კაპიტანი მატჩის ბოლო ნაწილში მოთავარ მწვრთნელს მოედანზე საერთოდ არ გაუყვანია...



შენგელიამ 7-დან 5 ორქულიანი და 4-დან სამი საჯარიმო ჩააგდო, ერთი სამიანი კი ააცილა.

„ბასკონიას“ 10 ტურში 4 მოგებითა და 6 წაგებით მე-11 პოზიცია უკავია. ბასკეთი მომდევნო ტურში 7 დეკემბერს „უნიკასას“ უმასპინძლებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

რომს ერთგულებას ეფიცება


მთელმა ევროპამ უწყის იტალიურ „რომაში“ მობურთალი ბელგიელი რაჯა ნაინგოლანის ცოლის, ტატუმრავალი კლაუდიას შესახებ, რომელიც ბებერმა კონტინენტმა რაჯას ცოლობის გარდა იმთავითვე ციციკო, რომ სადაც კი თავისუფალი ალაგი აქვს, ყველგან ტატუ აქვს ამოკემსილი და აკი ჩვენც ტატუმრავლად მოვისხენიებთ.

ბოლო დროს გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ თითქოს რაჯა რომიდან დასაერთოდ იტალიიდან აბარგებას აპირებს და რამდენიმე ბრიტანულ კლუბს ეკუთრებება. ამ ამბის გამგონე კლაუდიამ ქოში უკუღმა ყარა და განაცხადა, რომ მასა და მის ქმარს რომთან გრძელვადიანი გეგმები აკავშირებთ და მარადიული ქალაქიდან ფეხის გამდგმელები არ არიან.

კლაუდიას ამ შემთხვევაში ქმრის საკმაოდ წარმატებულ საფეხბურთო კარიერაზე არანაკლებად საკუთარო ბიზნესის ბედიც ანაღვლებს და ამიტომაცაა

ასეთი შეუვალი და კაპასი. სენიორა ნაინგოლანს რომში ქალის პარფიუმერიის საკუთარი მალაზია ჰქონია და ადამიანს თუ თავისი ბიზნესი არ უყვარს, ის სხვას შეიყვარებს?!

როსტომ რაჭველიშვილი



შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი
ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: P149952

განმასრულებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

აშშ დოლარი და 3,720,820.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 77.62
საბოლოო ადგილი: I

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: EWHCIP/CS/QCBS-03

II. დასახელება: ერთობლივი საწარმო შემდგი ფირმების Semadgenlobi T Kocks Consult GmbH/გერმანია (მთავარი პარტნიორი) და Pyunghwa Engineering Consulting Ltd./კორეა (წევრი პარტნიორი)

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ჩუმათელები - ხევის მონაკვეთის (მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით 11.2 კმ) პროექტის განხილვა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა

ტექნიკური ქულა: 71.72 (მსგავსი პროექტების გამოცდილება - 4.55; მეთოდოლოგია - 17.20; ძირითადი პერსონალი - 49.97)

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 26 თვე (რასაც ემატება დეფექტების გამოსწორების პერიოდი 24 თვე)

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 3,301,150.00 აშშ დოლარი და 5,254,680.00 ლარი;

შერჩევის მეთოდი: ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 3,301,162.00 აშშ დოლარი და 5,254,680.00 ლარი;

შეფასების ვალუტა: ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 77.13
საბოლოო ადგილი: II

შეფასებული კომპანია(ები):

III. დასახელება: ერთობლივი საწარმო შემდგი ფირმების შემადგენლობით Rendel Limited/დიდი ბრიტანეთი (მთავარი პარტნიორი) და Ingérop Conseil et Ingénierie/საფრანგეთი (წევრი პარტნიორი)

I. დასახელება: ერთობლივი საწარმო შემდგი ფირმების შემადგენლობით Soosung Engineering Co. Ltd./კორეა (მთავარი პარტნიორი) და Dohwa Engineering Co. Ltd./კორეა (წევრი პარტნიორი)

ტექნიკური ქულა: 72.53 (მსგავსი პროექტების გამოცდილება - 3.90; მეთოდოლოგია - 17.70; ძირითადი პერსონალი - 50.93)

ტექნიკური ქულა: 72.03 (მსგავსი პროექტების გამოცდილება - 4.9; მეთოდოლოგია - 18.10; ძირითადი პერსონალი - 49.03)

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2,542,150.00 ევრო, 451,260.00 ფუნტი სტერლინგი, 470,000.00 აშშ დოლარი და 6,082,700.00 ლარი;

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 3,871,700.00 აშშ დოლარი და 3,720,820.00 ლარი;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 2,542,150.00 ევრო, 451,260.00 ფუნტი სტერლინგი, 470,000.00 აშშ დოლარი და 6,082,700.00 ლარი;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 3,871,700.00

Contract Award Notification

Project Name: East-West Highway Corridor Improvement Project

Country: Georgia

Project Number: P149952

The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Evaluated Price: 3,871,700.00 USD and 3,720,820.00 GEL;
Final Combined Evaluation Score: 77.62
Final Ranking: I

Bid/Contract Reference No: EWHCIP/CS/QCBS-03

Scope of Contract: DESIGN REVIEW AND SUPERVISION OF CONSTRUCTION WORKS FOR E-60 HIGHWAY CHUMATELETI-KHEVI SECTION (Approximate length of the section is 11.2 km)

II. Name: JV composed of Kocks Consult GmbH/Germany (Leading Partner) and Pyunghwa Engineering Consulting Ltd./Korea (member)

Duration of Contract: 26 months (plus 24 months for Defects Liability Period)

Technical Score: 71.72 (Specific Experience - 4.55; Methodology - 17.20; Key-Staff - 49.97)

Method of Selection: Quality and Cost-Based Selection (QCBS)

Financial Proposal Price at the opening: 3,301,150.00 USD and 5,254,680.00 GEL;

Evaluation Currency: Georgian Lari

Evaluated Price: 3,301,162.00 USD and 5,254,680.00 GEL;
Final Combined Evaluation Score: 77.13
Final Ranking: II

Names of Shortlisted Consultant(s)/Firm that submitted proposals:

III. Name: JV composed of Rendel Limited/UK (Leading Partner) and Ingérop Conseil et Ingénierie/France (member)

I. Name: JV composed of Soosung Engineering Co. Ltd./Korea (Leading Partner) and Dohwa Engineering Co. Ltd./Korea (member)

Technical Score: 72.53 (Specific Experience - 3.90; Methodology - 17.70; Key-Staff - 50.93)

Technical Score: 72.03 (Specific Experience - 4.9; Methodology - 18.10; Key-Staff - 49.03)

Financial Proposal Price at the opening: 2,542,150.00 EUR, 451,260.00 GBP, 470,000.00 USD and 6,082,700.00 GEL;

Financial Proposal Price at the opening: 3,871,700.00 USD and 3,720,820.00 GEL;

Evaluated Price: 2,542,150.00 EUR, 451,260.00 GBP, 470,000.00 USD and 6,082,700.00 GEL;
Final Combined Evaluation Score: 74.63

ერთიანი შეფასების ქულა: 74.62
საბოლოო ადგილი: III

IV. დასახელება: ერთობლივი საწარმო შემდგი ფირმების შემადგენლობით Hill International NV/ნიდერლანდები (მთავარი პარტნიორი) და Egnatia Odos S.A./საბერძნეთი (წევრი პარტნიორი)

ტექნიკური ქულა: 70.16 (მსგავსი პროექტების გამოცდილება - 3.75; მეთოდოლოგია - 18.10; ძირითადი პერსონალი - 48.31)

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 3,450,700.00 აშშ დოლარი და 7,006,730.83 ლარი;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 3,450,700.00 აშშ დოლარი და 7,006,732.60 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: 73.16
საბოლოო ადგილი: IV

V. დასახელება: ერთობლივი საწარმო შემდგი ფირმების შემადგენლობით Nievlt Ingenieru GmbH/ავსტრია (მთავარი პარტნიორი) და iC Consulten TZ GmbH/ავსტრია

ტექნიკური ქულა: 65.19 (მსგავსი პროექტების გამოცდილება - 3.75; მეთოდოლოგია - 18.30; ძირითადი პერსონალი - 43.14) - ვერ გადალახა მოთხოვნილი მინიმალური ტექნიკური ზღვარი - 70 ქულა

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არა

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: არა

ერთიანი შეფასების ქულა: არა
საბოლოო ადგილი: არა

გამარჯვებული კომპანია(ები):

დასახელება: ერთობლივი საწარმო შემდგი ფირმების შემადგენლობით Soosung Engineering Co. Ltd./კორეა (მთავარი პარტნიორი) და Dohwa Engineering Co. Ltd./კორეა (წევრი პარტნიორი)

ტექნიკური ქულა: 72.03

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 3,871,700.00 აშშ დოლარი და 3,720,820.00 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: 77.62
საბოლოო ადგილი: I

საკონტრაქტო ღირებულება: 4,568,606.00 აშშ დოლარი და 4,390,568.00 ლარი (გადასახადების ჩათვლით).

Final Ranking: III

IV. Name: JV composed of Hill International NV/Netherlands (Leading Partner) and Egnatia Odos S.A./Greece (member)

Technical Score: 70.16 (Specific Experience - 3.75; Methodology - 18.10; Key-Staff - 48.31)

Financial Proposal Price at the opening: 3,450,700.00 USD and 7,006,730.83 GEL;

Evaluated Price: 3,450,700.00 USD and 7,006,732.60 GEL;

Final Combined Evaluation Score: 73.16
Final Ranking: IV

V. Name: JV composed of Nievlt Ingenieru GmbH / Austria (Leading Partner) and iC Consulten TZ GmbH/Austria (member)

Technical Score: 65.19 (Specific Experience - 3.75; Methodology - 18.30; Key-Staff - 43.14) - Did not pass the minimum required technical score: 70 Points

Financial Proposal Price at the opening: N/A;

Evaluated Price: N/A;

Final Combined Evaluation Score: N/A
Final Ranking: N/A

Awarded Consultant(s)/Firm:
Name: JV composed of Soosung Engineering Co. Ltd./Korea (Leading Partner) and Dohwa Engineering Co. Ltd./Korea (member)

Technical Score: 72.03

Financial Proposal Price at the opening: 3,871,700.00 USD and 3,720,820.00 GEL;

Evaluated Price:

Final Combined Evaluation Score: 77.62

Final Ranking: I
Contract Price: 4,568,606.00 USD and 4,390,568.00 GEL (including taxes).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

2018 წლის 23 იანვარს, 12 საათზე, ჰიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჰიათურა, ნინოწვილის ქ. 7) გაიმართება შპს „ბუკაპი“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, „ბუკაპი“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოში დამატებითი გამამდიდრებელი ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

• ჰიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჰიათურა, ნინოწვილის ქ. N7.

• შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

• ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: jakhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „გამაპი“-ს ადმინისტრაცია

2018 წლის 23 იანვარს, 14 საათზე, ჰიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჰიათურა, ნინოწვილის ქ. 7) გაიმართება შპს „ბარჯა 2015“-ის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შპს „ბარჯა 2015“-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

• ჰიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჰიათურა, ნინოწვილის ქ. N7.

• შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

• ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: jakhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „ბარჯა 2015“-ის ადმინისტრაცია

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემის საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა licenzes@nea.gov.ge ; Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის <p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორება/ზოგჯერ მიმართულებით.</p> <p>გ) გეოდეზიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მიერ ფართობზე წელიწადში ინტერული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ქალაქ ოზურგეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ბჟუის ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 600 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ქალაქ ოზურგეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი 12 148 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 1 214,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 6 274 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 4 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 2 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 2 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 2 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 5 წელი
14	სხვა მონაცემები აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 2	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა licenzes@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის <p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორება/ზოგჯერ მიმართულებით.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას "მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოები განახორციელოს, მხოლოდ შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“-ს მოთხოვნების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება წიაღისეულის მოპოვებელ ლიცენზიანტს.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას არ შეუქმნას საფრთხე შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“-ს ხაზოვან ნაგებობით (გაზსადენი ქსელი) სარგებლობას და ასევე ხაზოვანი ნაგებობის დათვალიერებისა და მასზე საექსპლუატაციო სამუშაოების ჩატარებას, მისი დაცვის ზონისა და პერიმეტრის (ბუნებრივი ზონა 15 მეტრი) გათვალისწინებით.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სამუშაოების</p>

დაწყებამდე ორი დღით ადრე დაუკავშირდეს შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“-ს იმერეთის რეგიონულ ოფისს.	
ბ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.	
თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).	
ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.	
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ზღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა დიშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხანისწყლის ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია -P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 12 000 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ზღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა დიშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი 2 087 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 208,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 1 244 ლარი
